ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 1 მარტი, 2023 №42 (9078) ფასი: 80 თეთრი

## მამუკა მდინარაძე: „ჩვენ ჯერ არ დაგვიფიქსირებია საბოლოო მხარდაჭერა ფრიდონ ინჯიას ინიციატივაზე“

გვ.2




# „ქართული ოცნება“ უკიდურესად საშიშ, რუსულ კანონს ილებს!“



გვ.2

**თაკო ჩარკვიანი:** „ვიღაცას სიტყვის თქმის ეშინია, ვიღაცას – სიტყვა რევოლუციის, მაგრამ, ევროპულ კურსს თუ შეგიცვლის, გაშიმშილებს, წაგართმევს დამოუკიდებლობას, ალბათ უნდა მივხვდეთ, რომ ცოტა უფრო მკაცრი ზომებია საჭირო“



**ლევან ალაფიშვილი:** „მთავრობა კონტროლს უწესებს იმას, ვისაც მისი გაკონტროლება ევალება“

## „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს, ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი მოგვცეს“

გვ.3

## ამირან სალუქვაძე: „იმის თქმა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არ გვინდა, დემაგოგია, პოპულიზმი და რაღაც სხვა ინტერესებია“



გვ.3

გამოკითხული უკრაინელების 75,3% გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებულია

გვ.4



## „ომმა შეცვალა უკრაინელები და ეს შეუქცევადი პროცესია“



გვ.5

## გიორგი მშვენიერაძე: „მოწმემ დაადასტურა, რომ ივერი მელაშვილი ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა, საქართველოს ინტერესები დაეცვა“

## რა ხდება სოსო გოგაშვილის სასამართლო პროცესზე

გვ.5







## პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა

გვ.5

2 იენს სტოლტენბერგი: „რუსეთთან ურთიერთობებში უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს“

5 დაკავებულია 8 პირი, რომლებიც ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი ვაგონ-ცისტერნიდან დიდი ოდენობით საწვავს იპარავდნენ

7 ხვიჩა კვარაცხელია: „ისეთი პატარა ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, გზის გაკვალვა ადვილი არ არის“

6 აშშ-ის დაზვერვა რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ

# „ქართული ოცნება“ უკიდურესად საშიშ, რუსულ კანონს იღებს!“

## თაკო ჩარკვიანი: „ვიღაცას სიტყვის თქმის ეშინია, ვიღაცას – სიტყვა რევოლუციის, მაგრამ, ევროპულ კურსს თუ შეგიცვლის, გაშიმშილებს, წაგართმევს დამოუკიდებლობას, ალბათ უნდა მივხვდეთ, რომ ცოტა უფრო მკაცრი ზომებია საჭირო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.



***– ქალბატონო თაკო, ევროკავშირის ელჩმა მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ევროკავშირის 27 ქვეყნის სახელით იუსტიციის სამინისტროს დემარში გადასცა. იმდენად მძიმეა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომ ამაზეც წავიდნენ? რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ ყურად იღებს რამეს ჩვენი ხელისუფლება?***

– ძალიან მძიმე მდგომარეობაა. სააკაშვილი ყოველდღე მძიმდება. რამე რომ მოუვიდეს, ვის უნდა დავაბრალოთ მერე? ვის და საკუთარ თავებს. რას ჰქვია, ამდენი ხანია უმძიმეს მდგომარეობაშია და არაფერი კეთდება. ვიღაცას სიტყვის თქმის ეშინია, ვიღაცას – სიტყვა რევოლუციის. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, ევროპულ კურსს თუ შეგიცვლის, გაშიმშილებს, წაგართმევს დამოუკიდებლობას, ალბათ უნდა მივხვდეთ, რომ ცოტა უფრო მკაცრი ზომებია საჭირო. მაშინვე მომიბრუნდებიან რიტორიკული კითხვით, რას გულისხმობთ მკაცრ ზომებში? რას უნდა ვგულისხმობდე?! იმას, რასაც გულისხმობს ევროპული კონვენცია. ვინმეს ოდესმე კანონის ჩარჩოდან გასული გინახივართ?! ეს ევროპულმა კონვენციამ თქვა, რომ მიტაცებული სახელმწიფოს, ძალაუფლების მიმტაცებელს ხალხმა ჯანყის უფლებით უნდა დააბრუნებინოს ძალაუფლება! ეს თამარ ჩარკვიანის მიერ არ არის დაწერილი. ამის უფლება ევროკონვენციამ მიანიჭა ხალხს.

***– ქალბატონო თაკო, ევროპული მომავლისთვის, უკრაინის მხარდასაჭერად, მართლაც უამრავი ადამიანი გამოდის ქუჩაში, ოპოზიციას კი იმიჯი შელახული აქვს და ვერ გამოჰყავს ხალხი.***

– და ოპოზიციის ორგანიზებული არ იყო ეს აქცია? მოდით, ობიექტურები ვიყოთ. მე არ ვამბობ, რომ რომელიმე პარტიის, მაგრამ ორგანიზება, რაც ვნახეთ და ვიხილეთ, ეს ხომ ოპოზიციამ გააკეთა!

***– ეს თემა იყო მეტად აქტუალური.***

– რა თქმა უნდა! სწორად შერჩეული სტრატეგია ამართლებს! ეს აქცია ნამდვილად ოპოზიციამ გააკეთა, მაგრამ ეს იყო არა პარტიებისთვის გამოსული ხალხი, არამედ ეს იყო ევროპული მომავლისთვის, ეს იყო უკრაინის მხარდასაჭერად და ამის ორგანიზება პოლიტიკოსებმა გააკეთეს.

***– ანუ არის ჯერ კიდევ იმის რესურსი, რომ მრავალრიცხოვანი აქციები ჩატარდეს?***

– რა თქმა უნდა, არის. ამაში ორი აზრი არ არსებობს. მე დავუწერე ხელისუფლებას, ნუ აწყობთ რევოლუციას-მეთქი. ერთმა მკითხა, ეს რას ნიშნავსო? იმას ნიშნავს, რომ რევოლუციას ყოველთვის აწყობს იდიოტი ხელისუფალი! ხელისუფლება, რომელიც კანონის ჩარჩოში ეტევა, ხალხს პატივს სცემს, ძალაუფლებას არ იტაცებს, არასოდეს ასეთ ქვეყნებში რევოლუციები არ ხდება. რევოლუცია ხდება მაშინ, როდესაც შენ ხალხს წაართმევ იმ ღირებულებებს, რომლის გამოც მან სისხლი დაღვარა თავის დროზე, თავი გადადო. შენ კი პრაქტიკულად ართმევ წარსულს, აწმყოსა და, შესაბამისად, მომავალს.

***– ქალბატონო თაკო, დიდი აჟიოტაჟია ატეხილი „ხალხის ძალის“ კანონპროექტზე. რას იტყვით თქვენ, რამდენად არის შანსი, რომ გაიტანონ ეს კანონი?***

– ნახეთ, როგორი ვითარებაა, რა დოზითაც ჩვენ ვივარგებთ, იმ დოზით გაგვიბედავენ! აბა ერთი დადექი აღმუვლებული და ჯაჭვი შემოარტყი პარლამენტს! როგორ მიიღებენ ეს გაქუცული ხუთი ცალი, ეს არარსებული პერსონები. გვარებითაც არ მოვიხსენიოთ, ეს არის ხუთი ცალი არარაობა, ხუთი ცალი კანონდამრღვევი, შეურაცხმყოფელი საქართველოს კონსტიტუციისა და ხალხის, რომელთაც ჰქვია, კრებსითი ბიძინა ივანიშვილი. აბა დადექი და შემოარტყი ალყა, თუნდაც მდუმარედ, დიდი რაოდენობით, აბა ვნახოთ, როგორ მიიღებს ამ კანონს!

***– ვენეციის კომისიაში გააგზავნეს. რას ელიან?***

– მე ვფიქრობ, რომ უგულებელყოფის იმედი აქვთ. შემდეგ იმ უგულებელყოფას სათავისოდ გამოიყენებენ. აი, ეს არის მთელი მათი პოლიტიკა და ფილოსოფია, რასაც აკეთებენ ზოგადად. რატომ ლანძღავენ ასე გამეტებით? უნდათ, დასავლეთს ათქმევინონ, კარგად იყავით, რაო!

***– ანუ ეს კანონპროექტიც იმისთვის უნდათ, რომ უარი გვითხრან კანდიდატის სტატუსზე?***

– აუცილებლად ასეა.

***– რამდენად სახიფათოა ეს კანონი, თუკი თავისი გაიტანეს?***

– უკიდურესად სახიფათოა. რუსეთშიც ასე ხუმრობითა და სიცილით მიიღეს კანონი და მერე წერდნენ, რომ ამ ხუმრობითა და იმის იმედით, რომ კანონს არ მიიღებდნენ და ჩვენ არ შეგვეხებოდა, ახლა ყველანი რუსეთის გარეთ, სულ სხვაგან ვცხოვრობთო. უკიდურესად საშიშია. ეს არის რუსული კანონი. ეს არის პუტინური მართვის სტილი. ნებისმიერი ინვესტიცია უკვე სერიოზულ სიფრთხილეს გამოიჩენს და საქართველოში არ შემოვა. ეს აპრიორი ნიშნავს მომავალ შიმშილსა და სიღატაკეს. პოლიტიკოსები დღეს ამ საკითხით უნდა ვიყოთ დაკავებული. გუშინ სერიოზული კამათი მომივიდა, არ მომეწონა ხელისუფლების პროექტი.

***– ალბათ თავდაცვის კოდექსის განხილვას გულისხმობთ. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით, რა ხდება?***

– პროექტია წარმოდგენილი და რეფორმები ჰქვია. ვინ უნდა იყოს, ვინც რეფორმას არ მიესალმება? სიტყვა რეფორმა ყველას მოგვწონს, მაგრამ, რომ ჩაიხედავთ, იმდენი ხარვეზი წარმოადგინეს, რომ ძალიან შესასწორებელია. ჩამოგითვლით, თუ რა შენიშვნები მქონდა. მე არ მომწონს არც ამათი წარმოდგენილი პროექტი და არც „გირჩის“. ხელისუფლებამ წარმოადგინა ასეთი რამ: მაგალითად, თურმე მართლმადიდებლობის წარმომადგენლებს აქვთ უფლება, არ წავიდნენ ჯარში. თქვენ გაიგეთ, ეს რას ნიშნავს? მე ვერ გავიგე. ეს ხომ ზუსტად იგივეა, რასაც „გირჩს“ ვუწუნებთ, რაღაც სასულიერო რომ შექმნეს. მე იმას კი არ ვეწინააღმდეგები, რომ სასულიერო ნიშნით რაიმე განსხვავება არსებობდეს. ეს რა ჩემი საქმეა, მაგრამ ფიქტიურად შექმნილია თაღლითობა. აი, რისთვისაც არის შექმნილი, ამას ვეწინააღმდეგები! ფიქტიური ქორწინება ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში არის უკიდურესად დასჯადი. იგივე თაღლითური სქემაა, როცა შენ ირქმევ სასულიერო დაჯგუფებას, თან სთავაზობ, მე ჯარში არ წაგიყვან და შენ გახდი „გირჩის“ ამომრჩეველიო. „გირჩიც“ ხომ იყენებს ამ რესურსს. ასე არ არის?!

***– „გირჩი“ ამ კანონს ტრეფიკინგს უტოლებს, იძულებით წაიყვანენო.***

– გავიგე, მაგრამ თავად „გირჩს“ ოდესმე რაიმე კანონპროექტი წარმოუდგენია, როგორი უნდა იყოს ჯარი?! ხომ არ არსებობს ასეთი?! ამიტომ მე ვამბობ ასეთ რაღაცას, ხელისუფლებამ რაც წარმოადგინა, არ მომწონს ერთმნიშვნელოვნად. მართლმადიდებლობასთან დაკავშირებით ვერ გავერკვიე, რა უნდოდათ, მეორეც, თუ ახალგაზრდა ჩააბარებს, მას შეეძლება, კათედრაზე გაიაროს სამხედრო. კი ბატონო, გაიაროს, მაგრამ ამ შემთხვევაში იჩაგრება გაჭირვებული ბავშვი. თუ ვიღაცას დაფინანსების საშუალება აქვს, მაინც ისწავლის და კათედრაზე გაივლის, გაჭირვებული ბავშვი, რომელმაც ვერ ჩააბარა, არც ფასიანზე სწავლის საშუალება აქვს, ის აპრიორი მიჰყავთ ჯარში. მე ვთქვი, რომ ეს არის სრული დისკრიმინაცია და არათანაბარ პირობებში ჩაყენება.

***– გამოსავალი სად არის, რა უნდა გაკეთდეს?***

– საქართველოს არჩეული აქვს დასავლური სტანდარტები. ნატოს სტანდარტებთან მიახლოებული მაინც ჯარი უნდა შევქმნათ, რომ ახალგაზრდებს თავად მოუნდეთ იქ წასვლა. იყოს მაღალი ხელფასები და ასე შემდეგ. აი, ამაზე ვიფიქროთ, ხალხო.

***– დამამცირებლად არ უნდა ითვლებოდეს ჯარში წასვლა.***

– დიახ, სწორად მიმიხვდით. საჭიროა გაუმჯობესებული პირობებით ჯარი, რომ ახალგაზრდებს თავად გაუჩნდეთ ჯარში წასვლის სურვილი. თოფის ხელში ჭერა არ იცის უმრავლესობამ. თავდაცვაზე ვლაპარაკობ. ოკუპირებული ტერიტორიები გვაქვს და ჯოჯოხეთი მეზობელი გვყავს.

# შალვა პაპუაშვილი: „ეს ბუნდოვანება ნაციონალურმა მოძრაობამ თავად შექმნა“



პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის განცხადებით, კითხვები და ბუნდოვანება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის ირგვლივ არსებობს, თავად ნაციონალებმა შექმნეს.

პაპუაშვილი ამბობს, რომ მაშინდელი მმართველი პარტია 10 წელი უმალავდა ხალხს ინფორმაციას გაკეთებული განცხადებებისა და რეზოლუციების შესახებ.

– საგამოძიებო კომისიის შინაარსი მე ჯერ არ ვიცი. რაც შეეხება 2008 წელს, ეს ბუნდოვანება თავად შექმნა ნაციონალურმა მოძრაობამ იმით, რომ სხვადასხვა რეზოლუციას უჭერდა მხარს და სხვადასხვა განცხადებებს აკეთებდა. ყველა ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ და 2008 წლის დღეებიც გვახსოვს და მათი განცხადებებიც და რეზოლუციებიც, რომლებსაც 10 წელი უმალავდნენ ქართველ საზოგადოებას. მე არ მახსოვს არცერთი ფორმატი, სადაც ამ რეზოლუციაზე იყო საუბარი და შემთხვევით გახდა შემდეგ საჯარო და მერე დავინახეთ ყველამ, თურმე რა ჩაუწერიათ შიგნით, – ამბობს პაპუაშვილი. პარლამენტმა, შესაძლოა, აგვისტოს ომის შესახებ საგამოძიებო კომისია შექმნას. ამ ინიციატივით დღეს ევროპელი სოციალისტების ჯგუფი გამოვიდა. ინიციატივა პრორუსული განცხადებებით ცნობილ ფრიდონ ინჯიას ეკუთვნის, თუმცა ირკვევა, რომ ინჯია მარტო არ არის და მის ამ ინიციატივას მხარდაჭერა „ქართული ოცნებისგანაც“ ექნება.

# იენს სტოლტენბერგი: „რუსეთთან ურთიერთობებში უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს“




რუსეთთან ურთიერთობებში უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ჰელსინკიში SAMAK-ის ჩრდილოეთის სამიტზე განაცხადა.

– ცივი ომის დასრულებისას ამ დარბაზში ბევრ დამსწრეს სჯეროდა, რომ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების აწყობას შევძლებდით. ისევე, როგორც მე. და დღემდე ვთქვი, რომ რუსეთთან ერთად ევროპაში უკეთესი უსაფრთხოების ასაწყობად ისტორიული მომენტის გამოყენება სწორი გადაწყვეტილება იყო, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

მან აღნიშნა, რომ ამის ნაცვლად რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გადაწყვიტა, „დაშორებოდა თანამშრომლობასა და დიალოგს“ და მეზობელ ქვეყნებზე თავდასხმით გლობალური უსაფრთხოების ფუძემდებელი პრინციპები დაარღვია.

– ამიტომ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ომის დასრულებით რუსეთთან ნორმალური ურთიერთობებისადმი დაბრუნება არ იქნება. უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს, – თქვა სტოლტენბერგმა.

# მამუკა მდინარაძე: „ჩვენ ჯერ არ დაგვიფიქსირებია საბოლოო მხარდაჭერა ფრიდონ ინჯიას ინიციატივაზე“




– ჩვენ ჯერ არ დაგვიფიქსირებია საბოლოო მხარდაჭერა ფრიდონ ინჯიას ინიციატივაზე, ეს საკმაოდ დელიკატური, რთული, კომპლექსური საკითხია, ამას დიდი მსჯელობა უნდა და ასე მარტივად ამ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, მან ჩამოთვალა კითხვები, რაც აქვს და რაზეც საუბარი იყო განსაკუთრებით ჰააგაში საქმის მოგების შემდეგ.

– მე ჩამოვთვალე ის კითხვები, რომლებიც მაქვს და, რაც მთავარია, რაზეც ვსაუბრობდით განსაკუთრებით ჰააგაში ჩვენ მიერ საქმის მოგების შემდეგ. ეს (კომისიის შექმნა) დელიკატური, კომპლექსური, რთული საკითხია, ამაზე დათანხმება ასე მარტივად შეუძლებელია. რა თქმა უნდა ეს დისკუსიას, კამათსაც შეიცავს, კითხვები რა თქმა უნდა არის, საშინელებები ქრონოლოგიის სახით აჩვენეს მთელ მსოფლიოს, შემდეგ ხელი მოუწერეს თავად და რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი, ამაზე პასუხები გასაცემია, მაგრამ ამას კომისია გასცემს პასუხს, საზოგადოება, თუ შევიკავებთ კომისიაში მონაწილეობისგან თუ კომისიის შექმნისგან თავს, ეს მეორე საკითხია და აბსოლუტურად არარელევანტური. მათ ამ შემთხვევაში ანაღვლებთ ის, რომ ამ ღალატს საზოგადოება სცემს პასუხს, ამ ღალატს არასდროს გავუტარებთ და რამდენჯერაც რუსულ სიტყვას ახსენებენ, მათ ეს (რეზოლუცია) გაახსენდეთ აუცილებლად და ყოველმიზეზგარეშე, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს, ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი მოგვცეს“

## ლევან ალაფიშვილი: „მთავრობა კონტროლს უწესებს იმას, ვისაც მისი გაკონტროლება ევალება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონპროექტზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვეტოს დაადებს, რადგან ის ევროკავშირთან გვაშორებს. როგორ ფიქრობთ, ეს ინიციატივა კანონად იქცევა?***

– ყველა დასავლური და დემოკრატიული ინსტიტუტის, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მკვეთრი განცხადების შემდეგ, რომ ეს არის რუსული კანონპროექტი და მას დემოკრატიულ სამყაროსთან არავითარი კავშირი არა აქვს, „ქართული ოცნების“ ლიდერები კორექტირებული განცხადებებით გამოვიდნენ, გვითხრეს, რომ ერთი კი არა, ორი კანონპროექტი არსებობს, რომ ორივეს უყრიან კენჭს და, რაც მთავარია, ვენეციის კომისიაში გადააგზავნიან.

მე მინდა, ჩვენს საზოგადოებას ავუხსნა, რადგან არ ევალებათ ადამიანებს, სამართალმცოდნეები იყვნენ და კანონების მიღების წესში ერკვეოდნენ, რას ნიშნავს კანონის სამი მოსმენით მიღება.

პარლამენტის მიერ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება ნიშნავს, რომ მან უკვე მთავარი გაიარა, მეორე მოსმენა ნიშნავს მუხლობრივ ჩასწორებას, მესამე მოსმენა კი – წერტილმძიმის დასმას ანუ რედაქტირებას. ასე მიიღება კანონი პარლამენტში უმრავლესობის მიერ. ვინაიდან „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ მსგავსი კანონი მიიღოს, მიიღებს კიდეც, რაც იქნება კატასტროფა, დემოკრატიის ნამდვილად დაზიანება.



რაც შეეხება ორ კანონპროექტს, ისინი ძირითადად ერთმანეთისგან არ განსხვავდება, მეტიც, ერთმანეთს ჰგავს. ამდენად, მიიღებენ ორ ერთმანეთზე უარეს კანონს. ეს, იცით, რას ჰგავს? – ჯორჯ ორუელის „1984“-ში რომ არის „თავისუფლება მონობაა“. ასეა ამ კანონპროექტშიც ტერმინების გადათამაშება. გვიმტკიცებენ, რომ აგენტი სხვა რამეს ნიშნავს და არა იმას, როგორც ის სამართლებრივად არის განმარტებული.

***– როგორ ფიქრობთ, რა არის რეალური მიზანი?***

– ყველასა და ყველაფრის კონტროლი. არასამთავრობო სექტორის, მედიაორგანიზაციების, ვისაც ევალება ძირითადად მთავრობის კონტროლი, მათი „გაშავება“ და შემდეგ უკვე გაჩუმება. იმ მიზეზს, რომელსაც გვისახელებენ, ვითომ გამჭვირვალობას, ეს ისედაც ასეა და ყველაფერი ცნობილი და გამჭვირვალეა. ცნობილია დონორი ორგანიზაციების წარმომავლობა, მიზნები, თან არსებობს ქვეყანაში ლობისტთა კანონი.

მოვალეობების აღრევა ხდება. იმის ნაცვლად, რომ მთავრობა იყოს კონტროლქვეშ გადასახადის გადამხდელისგან, პირიქით ხდება, მთავრობა კონტროლს უწესებს იმას, ვისაც მისი გაკონტროლება ევალება. ეს არის დემოკრატიაზე უარის თქმა და მის წინააღმდეგ წასვლა სხვა რა არის.

ვერც მედიაორგანიზაციები, ვერც არასამთავრობო ორგანიზაციები სასამართლოშიც ვერ წავლენ საჩივლელად, რადგან, თუ ეს კანონი მიიღეს, მერე უკვე კანონის ძალით მოხდება ყველაფერი. შესაბამისად, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის ხარისხი მინიმუმამდე დავა ან საერთოდ აღარ იქნება. დაიხურება დებატები. „ქართული ოცნება“ საბჭოთა კავშირში დაგვაბრუნებს. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველსაც არ მოეწონება ეს ვითარება.

***– ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც არ უყვარს საზოგადოებასთან კომუნიკაცია, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად თვლის, თავისი აზრი დააფიქსიროს – ამ კანონის მიღება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს კანდიდატის სტატუსის მიღებას და მიზანს დაგვაშორებს, – ამბობს კვირიკაშვილი.***

– დიახ, ნამდვილად ასეა. არავინ უნდა იოცნებოს ამ კანონის მიღების შემდეგ ევროკავშირზე, დასავლეთზე, სტატუსზე.

***– და თუ ეს იციან და იციან, რადგან არაერთი განცხადება გააკეთეს ევროკავშირიდან, სახელმწიფო დეპარტამენტიდან, რომ ეს დაგვაშორებს ევროკავშირს. რატომ მიდიან ამ რისკზე?***

– ზღვარზე თამაშობენ. მთელი კონტექსტი უნდა გავიხსენოთ, როდესაც აღნიშნულ კანონპროექტზე ვსაუბრობთ. „ოცნებას“ მართლაც არ აწყობს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღება. მათ განაცხადიც კი ყველაზე ბოლოს გააკეთეს და თან მას შემდეგ, რაც რუსთაველი გადაივსო ხალხით. ეს ხომ კარგად გვახსოვს. ეს იყო იძულებითი ნაბიჯი. ამომრჩევლის ძალიან დიდ ნებას ვერ გადავიდნენ, თორემ არც გააკეთებდნენ. ახლა ყველაფერს აკეთებენ, რომ სტატუსი არ მივიღოთ. უნდოდათ, უარის მიღება ევროკავშირისთვის გადაებრალებინათ, რაც გულუბრყვილო ბავშვური თამაში იქნებოდა, მაგრამ ვერ გათვალეს. ამ კანონის მიღებით ყველაფრის საკუთარ თავზე აღება მოუწევთ, რაც არ იქნება მარტივი ამბავი.

# „იმის თქმა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არ გვინდა, დემაგოგია, პოპულიზმი და რაღაც სხვა ინტერესებია“

## ამირან სალუქვაძე: „კანონით, 2025 წლიდან სხვა უწყებებში სავალდებულო სამხედრო სამსახური აღარ იქნება, როგორც იყო. მომზადებას მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში გაივლიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“



**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო ამირან, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში თავდაცვის კოდექსში ცვლილების განხილვას სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. თავდაცვის კოდექსში ცვლილება სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელების გაწვევას ეხება. ოპოზიციური ჯგუფი „გირჩი“ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას ეწინააღმდეგება, აცხადებს, რომ პირი, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურშია, მონაა. როგორ ფიქრობთ, ამ საკითხისადმი მათ ამგვარ დამოკიდებულებაში რა „ფილოსოფიაა“?***

– ერთი „ფილოსოფიაა“ – სახელმწიფოს წინააღმდეგ პირდაპირი მავნებლობა, ფაქტობრივად, ძირის გამოთხრა და საბოტაჟია. არ ვიცი, პარტია „გირჩს“ გარედან ვინ აფინანსებს. როგორც თქვეს, საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მათ დაფინანსების პრობლემა არ ჰქონდათ, მაგრამ ფაქტია, რაღაც ძალები დაინტერესებული არიან საქართველოში ასეთი იდეოლოგიის გატარებით.

პირმა, რომელმაც ინტერნეტში პედოფილიის შემცველი ვიდეომასალა შეგნებულად მოიძია, თავის კომპიუტერში ჩამოტვირთა და შემდეგ ეს ვიდეო მოიხმარა, ანუ უყურა, სასჯელი მიიღო. რა სასჯელი მიიღო, არ ვიცი, მაგრამ დააკავეს და ბრალი წარუდგინეს.

„გირჩის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, ადამიანი რისთვის დაიჭირეს, რა მოხდა ასეთი, ვიდეო მოიძია, ჩამოტვირთა და მოიხმარა, ამისთვის დასჯა როგორ შეიძლებაო. ეს პედოფილიის გამართლებაა. პედოფილია მხოლოდ ფიზიკურად შეხება არ არის. ესეც პედოფილიის ერთ-ერთი გამოვლინებაა. თუ პირს პოლიტიკოსობაზე პრეტენზია აქვს, მსგავსი განცხადება არ უნდა გააკეთოს.

ამიტომ ამ ადამიანებისაგან გასაკვირი არაფერია. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მონობად შერაცხვაში „გირჩი“ მარტო არ არის. ანალოგიურად ლაპარაკობს ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი, ექსპრეზიდენტი მარგველაშვილი.

„გირჩის“ თანამოაზრეა ასევე ყოფილი თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი და სხვები. მათ მიმდევრები ჰყავთ. იმისათვის, რომ თავიანთი მავნე პოზიცია გაამართლონ, ხელზე დახვეული აქვთ ყარაულში დგომა და შლაგბაუმის აწევ-დაწევა.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (შეიარაღებულ ძალებში) არსებობს სამხედრო ქალაქები, შეიარაღებისა და ტექნიკის სპეციალური პარკები, სადაც შლაგბაუმიც არის, გამშვები პუნქტიც, ღობეც, საგუშაგოც, ყარაულიც და ყველგან, მთელ მსოფლიოში ჯარი საკუთარ სამხედრო ტექნიკას თვითონ იცავს.

უწიგნურობა რამდენჯერ უნდა გამოამჟღავნონ. პირველი წელი არაა, რაც ამაზე ვსაუბრობთ. ყარაულში ყოფნა საბრძოლო ამოცანის შესრულებაა.

ბრძოლა და ომი მხოლოდ ფილმებში აქვთ ნანახი და არ იციან, რომ ომის დროს ჯარისკაცები პირდაპირ სანგრებში საყარაულო სამსახურს გადიან. ომი 24 საათის განმავლობაში უწყვეტად არ მიმდინარეობს და პოზიციებს დაცვა სჭირდება.

პოზიციებით დაწყებული, იქვე საომარი მოქმედებების რაიონში უამრავი ობიექტია დასაცავი, დაწყებული შეიარაღებითა და ტექნიკით, დამთავრებული სამედიცინო ობიექტებით, ყაზარმებით. ამ ყველაფერს ომის დროს დაცვა სჭირდება. სხვა ენაზე ამას ყარაული ჰქვია. იქაც ტექნიკის ფარგლებია და დაცვა სჭირდება, შლაგბაუმი ასაწევ-დასაწევია.

სამხედრო ყარაულში დგომას მშვიდობიან პერიოდში სწავლობს. მშვიდობიან პერიოდში ყარაულს არა მხოლოდ სწავლობს, არამედ მშვიდობიან პერიოდშიც ტექნიკას იცავს, მაგრამ ეს მისი სამსახურის ერთი ნაწილია.

მეორე ნაწილია საბრძოლო მომზადება, წვრთნები. ჯარისკაცის სამსახური მხოლოდ ყარაული რომ არ უნდა იყოს, ამაზე მხოლოდ ისინი არ საუბრობენ. წლებია გარედან ჩვენც ვსაუბრობთ და, როგორც იქნა, რამდენიმე წლის წინ თავდაცვის სამინისტროს იმ გადაწყვეტილებას მივაღწიეთ, რომ ვადიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცები იმავე პროგრამას გადიან, რომელსაც კონტრაქტით მომსახურეები.

შეიძლება, ნებისმიერი მივიდეს თავდაცვის ძალებში ან თავდაცვის სამინისტროში და იკითხოს. ის პრობლემა, რომელიც ადრე იყო, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცების საბრძოლო მომზადების ფინანსებისა თუ სხვა პრობლემებიდან გამომდინარე (ნაკლები ყურადღება ექცეოდა), აღმოფხვრილია.

ანუ სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ რეზერვში სრულყოფილად მომზადებული მებრძოლი რეზერვისტი ირიცხება.

***– ე.ი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა აუცილებელია.***

– რა თქმა უნდა. ელემენტარულად, ვისაც ესმის, ახლა უკრაინაში რა ხდება, ვინც გაიაზრა, რა მოხდა მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპირისპირებისას, ყველა ხვდება, რომ ომს იწყებს მუდმივი მზადყოფნის თავდაცვის ძალები და, დანაკარგებიდან გამომდინარე, ომს უკვე აგრძელებენ რეზერვიდან გაწვეული სამხედრო მოსამსახურეები, რა თქმა უნდა, მათთან ერთად, ვინც თავდაცვის ძალებში დარჩა.

შეიძლება ომმა იმდენ ხანს გასტანოს, რომ სხვა საერთო შემადგენლობამ დაამთავროს. დანაკარგებს გააჩნია.

ყბადაღებული თემა აქვთ ხელზე დახვეული, პროფესიონალები უნდა იყვნენ და სავალდებულო არ გვჭირდებაო. გარკვეული პერიოდის შემდეგ, არა მხოლოდ თანამედროვე პირობებში, არამედ ზოგადად, პროფესიონალური ჯარი ომის საწარმოებლად საკმარისი არ არის,

თუ 3-5-დღიანი ომი იქნება, როგორც 2008 წელს, მაშინ, კი ბატონო. ხანგრძლივი საომარი მოქმედებების პირობებში მოქნილი თავდაცვის ძალები საკმარისი არ არის. აუცილებლად გასაწვევი იქნება რეზერვი.

***– რეზერვის დასაგროვებლად რა არის საჭირო?***

– ჯერ ერთი, განსასაზღვრია, რა რაო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ტერორიზმის შესახებ საქართველოს 2021 წლის ანგარიშს აქვეყნებს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ტერორიზმის შესახებ საქართველოს 2021 წლის ანგარიშს აქვეყნებს.

ანგარიშის თანახმად, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, 2021 წელს საქართველომ გააგრძელა კონტრტერორისტულ საკითხებში აქტიური ჩართულობა და აშშ-ის ძლიერ მოკავშირედ დარჩა.

– 2021 წელს ტერორიზმის მხრივ ვითარება საქართველოში მშვიდი და სტაბილური იყო 2021 წელს ტერორისტული ინციდენტები არ ყოფილა, – წერია ანგარიშში.

სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ 2021 წელს საქართველომ 2022-26 წლებისთვის „ტერორიზმის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ შეიმუშავა.

ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მოიცავდა უწყებათაშორის წვლილს და ტერორიზმის საწინააღმდეგო უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ დეკემბერში იქნა დამტკიცებული.

– მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ სტრატეგიის განხილვაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ჩართო, ცნობილმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ გააკრიტიკა დოკუმენტი იმის გამო, რომ სათანადოდ არ იყო განხილული ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები, მათ შორის საქართველოში რადიკალიზაციის ძირითადი მიზეზები, და იმის გამო, რომ არ აფასებდა რადიკალიზაციის პროცესში სახელმწიფოს როლს, – წერია ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, საქართველოს, მთლიანობაში, შეუძლია ტერორისტული ინციდენტების გამოვლენა, შეკავება და მათზე რეაგირება.

– საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მთლიანობაში, კარგად აღჭურვილი და კარგად გაწვრთნილია და სუს-ის ტერორიზმის საწინააღმდეგო შენაერთი აგრძელებს რეგულარული წვრთნისა და აღჭურვილობის მიღებას, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორებისგან, – წერია ანგარიშში.




ამავდროულად, სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნა, რომ 2021 წელს სამოქალაქო საზოგადოებამ, ჟურნალისტებმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ გამოთქვეს შეშფოთება სუს-ის თვალთვალის სისტემასთან, მის პოლიტიკურ ნეიტრალურობასთან და სუსტ ზედამხედველობასთან დაკავშირებით.



# „ომმა შეცვალა უკრაინელები და ეს შეუქცევადი პროცესია“

## გამოკითხული უკრაინელების 75,3% გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებულია

მარიამ მჭედლიშვილი

**უკრაინის ომმა მსოფლიოში ბევრი რამეში შეიტანა კორექტივები, პროცესები გადაატრიალა. მკვეთრად გაიზარდა უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. ამ ფონზე ანომალიურად გამოიყურებიან საქართველოში გააქტიურებული ანტიდასავლური ძალები. რა ძვრებია თვითონ უკრაინაში? უკრაინის საზოგადოებაში? ამას უკრაინულ მედიასთან განმარტავს სოციოლოგი ევგენი გოლოვახა.**

***— თქვენი და სხვა სოციოლოგიური ინსტიტუციების კვლევები აჩვენებს, რომ 70%-ზე მეტ უკრაინელს სჯერა, ქვეყანა მოძრაობს სწორი მიმართულებით. ასევე მაღალია დამაჯერებლობა იმისა, რომ ქვეყანა გაიმარჯვებს. რა არის ამ კარდინალური გარდატეხის მიზეზი?***

— ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრი რადიკალურად შეიცვალა. უკრაინელები, რომლებიც წინათ ყოველთვის კრიტიკულად აფასებდნენ მდგომარეობას ქვეყანაში და მის პერსპექტივებს, ამჟამად უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

ადამიანები ხედავენ, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა გაათავისუფლეს ოკუპირებული ტერიტორიები. არადა, რუსეთის შეჭრის დასაწყისში ცალკეული „ოპტიმისტები“ დასავლეთში წინასწარმეტყველებდნენ, რომ ჩვენ ორი კვირაც კი ვერ გავუძლებდით უზარმაზარ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ვეებერთელა ჯარი და აქვს ბირთვული იარაღი. უკრაინა გახდა ურყევი ბასტიონი, რომელიც ცივილიზაციას კრემლის ახალი ბარბაროსობისგან იცავს. უკრაინელებს ეს ესმით. მათ განწყობებზე მოქმედებს ასევე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრესტიჟის ზრდა.

ნატოს ქვეყნები გვეხმარებიან იარაღით, ფულით. ამისათვის მათ დიდ მადლობას ვუხდით, მაგრამ იარაღი თავისით არ ისვრის და მტერი გონებას არ კარგავს იარაღის დანახვისას.

***— გამოკითხვების კრიტიკოსებს შეუძლიათ მიგითითონ „მეთოდოლოგიურ ნიუანსებზე“: ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია (იქ გამოკითხვები ვერ ტარდება); ბევრმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა; რუსოფილები დადუმდნენ.***

— მოსახლეობის გადაადგილების ფაქტორი არსებობს. არიან ასევე ადამიანები, რომლებიც პასუხობენ ამ სტილში: „ყველაფერი კარგის მხარეს, ყველაფერი ცუდის წინააღმდეგ“. ეს გამოკითხვებისას ყოველთვის იყო. ჩვენს კვლევებში ჩანს, რომ ცვლილებები დიდია. იკვეთება განწყობა. მაგალითად, 2022 წლის დეკემბერში გამოკითხულთა 75,3%-მა განაცხადა, რომ სავსებით დარწმუნებულია გამარჯვებაში, 20,4% აცხადებს, რომ, დიდი ალბათობით, დარწმუნებულია გამარჯვებაში.



***— პრორუსულად განწყობილებს რა ვუყოთ?***

— პრორუსულების კონტინგენტი (ე.წ. ვატნიკები) არსად წასულა. თუმცა, ბევრმა მათგანმა რუსეთის შეჭრის, მასობრივი სამხედრო დანაშაულების ჩადენისა და კრემლის თავხედური სიცრუის ფონზე დაიწყო საკუთარი პოზიციების გადახედვა.

რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე გამოკითხულთა დაახლოებით 60% თავს უკრაინის მოქალაქედ მიიჩნევდა. ახლა 79,7% მიიჩნევს, რომ არის უკრაინის მოქალაქე, ხოლო საკუთარი თავის პოსტსაბჭოთა სივრცესთან ასოცირებას ახდენს გამოკითხულთა მხოლოდ 1,4%.

***— ანუ შეიცვალა უკრაინელების დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ?***

— დიახ, თანაც, არსებითად შეიცვალა. გამოკითხულთა 63,8% დადებითად აფასებს ქვეყნის პერსპექტივებს, 31,1% — ნეიტრალურად და მხოლოდ 3,3% აფასებს ნეგატიურად. უკრაინის სახელმწიფო, ხარვეზების მიუხედავად, უნარიანი აღმოჩნდა, წინააღმდეგობა გაეწია აგრესორისათვის. საზოგადოებრიობა ხედავს, რომ საერთაშორისო არენაზე უკრაინა პირველად ისტორიაში აღმოჩნდა ლიდერებს შორის.

***— უკრაინული მენტალიტეტის თვისებაა უნდობლობა უფროსობის, ელიტის მიმართ. ეს თვისება გადასხვაფერდა?***

— 2022 წლის დეკემბერში გამოკითხვისას დავსვით ასეთი შეკითხვა: „არიან თუ არა უკრაინაში ლიდერები, რომლებსაც შეიძლება ანდო ხელისუფლება?“. დადებითად უპასუხა 60,2%-მა, უარყოფითად – 9,2%-მა. 2021 წელს განსხვავებული სურათი გვქონდა: ამ კითხვას დადებითად უპასუხა 25,7%-მა, უარყოფითად – 44,2%-მა.

უკრაინელებმა ომის, ეკონომიკური სიძნელეებისა და კორუფციის „მუდმივი“ თემის მიუხედავად, დაინახეს, რომ ჩვენში არიან ადამიანები, რომლებსაც შეგიძლია ანდო ხელისუფლება, რომლებიც რთულ სიტუაციაში არ შეშინდებიან. ომმა შეცვალა უკრაინელები და ეს პროცესი უკვე შეუქცევადია.

# რატი ბრეგაძე: „თუ მიხეილ სააკაშვილი არ დაემორჩილება ექიმების რეკომენდაციებს, რა თქმა უნდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება“



— თუ მიხეილ სააკაშვილი არ დაემორჩილება ექიმების რეკომენდაციებს, რა თქმა უნდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ „იმედის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, პირველ რიგში, უნდა „შეწყვიტოს რადიკალურმა ოპოზიციამ ამ საკითხის პოლიტიზება“.

— ამ საკითხს არავითარი კავშირი არ აქვს პოლიტიკასთან. ეს არის სასჯელის მოხდა დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში, როგორიც დღეს არის საქართველო, და აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. ეს არის პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ყველას მხრიდან — შეწყდეს საკითხის პოლიტიზება. მეორე, როდესაც ადამიანს სურს, რომ გამოჯანმრთელდეს, ის უნდა დაემორჩილოს მკურნალი ექიმების რეკომენდაციებს. ეს არის მეორე, მოდი, ასე ვთქვათ, კატეგორიული მოთხოვნა და ამ სიტუაციიდან გამოსავალი. თუ ის არ დაემორჩილება ექიმების რეკომენდაციებს, რა თქმა უნდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება, — განაცხადა რატი ბრეგაძემ.

# „გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების ამოცანას“ — გიორგი კვირიკაშვილი აგენტების კანონზე



ყოფილი პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი ,,ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონზე:

— არსებულ საერთაშორისო თუ შიდა პოლიტიკურ კონტექსტში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის წამოწევამ და საჯარო განხილვამ, სამწუხაროდ, უკვე მნიშვნელოვნად დააზიანა საქართველოს დემოკრატიული იმიჯი. როდესაც საქართველოს ყველა მეგობრის აღქმა ერთნაირად უარყოფითია ამ კანონპროექტის მიზნებისა და დროში მიზანშეწონილობის თაობაზე, ვფიქრობ, მისმა მიღებამ, მით უფრო დაჩქარებული წესით, შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს 2023 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების ამოცანას.

როგორც ადამიანი, ვისაც უმუშავია დღევანდელი ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელთან ერთად საქართველოს დასავლეთთან დაახლოებისათვის, რომელსაც არასდროს ჰქონია ჩასაფრებული პოზიცია და ხელისუფლების წარმატებისა თუ წარუმატებლობისადმი არასდროს ყოფილა გულგრილი, იმედს ვიტოვებ, რომ ქართული ოცნება არ გადადგამს ნაბიჯს, რომელმაც შესაძლოა დაგვაშოროს მიზანს, რომლის დაჩქარებულად მიღწევის შესაძლებლობაც ბოლო პერიოდში გამოჩნდა.

# „იმის თქმა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არ გვინდა, დემაგოგია, პოპულიზმი და რაღაც სხვა ინტერესებია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დენობის რეზერვი დაგვჭირდება. ეს ორ რამეზე იქნება დამოკიდებული, ერთი მხრივ, ომის ხანგრძლივობაზე, მეორე მხრივ, ომის ინტენსივობასა და დანაკარგებზე. ამას წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს. არსებული საფრთხეების გათვლით, დაახლოებით, თავდაცვის ძალები შეფასებებს აკეთებენ, რა რაოდენობის რეზერვი იქნება დასაგროვებელი, რა ვადებში.

„კონტრაქტნიკებით“ რეზერვი ვერ გროვდება იმიტომ, რომ სამსახური ხელშეკრულებას 3-4 წლით აფორმებს. ერთმა ადამიანმა შეიძლება 4-8 წელი იმსახუროს. 8 წლის განმავლობაში ამ ერთი სამხედროს საპირწონედ 4-5-7-8 რეზერვისტი უნდა მოვამზადოთ. რანაირად მოვამზადებთ, თუ ერთი ადამიანი 8 წელი მსახურობს?

ამიტომ ისეთი მოდელია მიღებული (წინასწარ არ მინდა გავახმაურო. ამ ყველაფერს დაასრულებენ და შემდეგ, ალბათ, ამაზე დეტალური მსჯელობა იქნება), ჩამოყალიბებული იქნება ბრიგადები, რომელთაგან ზოგი სრულიად პროფესიონალებით იქნება დაკომპლექტებული, ზოგი — სავალდებულო სამხედრო სამსახურით.

სხვადასხვა ვადით გაიწვევენ. სამი ვადაა (სხვადასხვა პირობებია) — 6-8 და 11 თვე. გაიწვევენ ერთხელ, გაწვრთნიან, ყარაულშიც ივლის, საბრძოლო მომზადებასაც სრულყოფილად გაივლის, ისე, როგორც პროფესიონალები გადიან და მომზადებული ჯარისკაცი რეზერვში ჩაირიცხება.

შემდეგ წელს სხვას გაიწვევენ. თავდაცვის ძალებისთვის რეზერვი ასე თანდათან დაგროვდება. კიდევ სხვა მოქნილი სისტემაც არის, მაგალითად, სტუდენტებისთვის. შეიძლება ისე, რომ სწავლაში ხელი არ შეეშალოთ, სამხედრო სამსახური 4 წლის განმავლობაში გაიარონ.

შემდეგ მას გაიწვევენ მოკლე ვადით, ვთქვათ, 2-კვირიან შეკრებებზე, რომელიც იქნება ყოველწლიური ან 2-3 წელიწადში ერთხელ, რათა კვალიფიკაცია შეინარჩუნოს. კიდევ ბევრი ნიუანსია.

უკრაინის ომის ფონზე, გერმანიის ხელისუფლებაში უკვე გაკეთდა განცხადება, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება დიდი შეცდომა იყო. ამიტომ ფიქრობენ, დაუბრუნდნენ ამ საკითხს, მაგრამ ეს ძალიან ძვირი დაუჯდებათ, რადგან მთელი ინფრასტრუქტურა, მთელი საყაზარმო ფონდი, სამხედრო ქალაქები, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის იყო გათვლილი, განადგურებულია.

მის ადგილზე აშენდა კორპუსები, გაშენდა პარკები და ინფრასტრუქტურა აღარ არსებობს. მის აღდგენას დიდძალი თანხა სჭირდება. გერმანიაც კი (თავისი დიდი ეკონომიკით) პრობლემის წინაშე დგას. განადგურება იოლი იყო, ახლიდან დაწყება რთულია.

სხვა ქვეყნების გამოცდილებას გადახედეთ, სამხედრო სავალდებულო სამსახური 60-მდე ქვეყანაშია (მათ შორის, ბალტიის ქვეყნებში). ყველას თავისი სპეციფიკა აქვს. ვიღაც ისეთ სამეზობლოშია, საერთოდ ომზე არ ფიქრობს და ჯარი შეიძლება საერთაშორისო მისიაში მონაწილეობისთვის ჰყავდეს.

ნატოშიც არის ევროპის ბევრი ქვეყანა, რომლებსაც ჯარი ჰყავთ საერთო კოლექტიური უსაფრთხოებისთვის. ის სიტუაცია, რომელიც ჩვენთანაა და, რომელშიც უკრაინა აღმოჩნდა, როდესაც ომის წარმოება დამოუკიდებლად გიწევს, იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ მსგავსი სისტემა გვქონდეს.

ამიტომ, იმის ლაპარაკი, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური არ გვინდა, დემაგოგია, პოპულიზმი და რაღაც სხვა ინტერესებია.

***— მაგალითად, რა ინტერესები შეიძლება იყოს?***

— მაგალითად, პარლამენტში ვიღაც დედა რუსკა (თავი ასე წარმოგვიდგინა) გამოვიდა და თქვა, რომ თურმე 20 ათას ჩვენს მოქალაქეს სავალდებულო სამხედრო სამსახური აარიდა.

ის პირდაპირ ამბობს, რომ 20 ათასი მოქალაქის სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდებაზე მუშაობდა. აბა, ვკითხოთ, რის ხარჯზე მუშაობდა? ის ხომ ამაში ანაზღაურებას იღებდა. ვის ხარჯზე? ვისი დაფინანსებით? წვევამდელების ხარჯზე.

თავიდან 20 ლარით დაიწყეს, შემდეგ — 30-ზე, მერე — 50-ზე და ახლა 200 ლარზე ავიდნენ. შეიძლება მეტიც არის. საკმაოდ კარგი შემოსავლების წყარო გაუჩნდათ. რა თქმა უნდა, მათ თავიანთი ინტერესები აქვთ, გარდა იმ მავნე ინტერესებისა, რომლებიც, დიდი ალბათობით, გარედან ფინანსდება. ყოველ შემთხვევაში, მე ეს კითხვები მიჩნდება.

ვიღაც ლობირებს, რომ საქართველოში არა მხოლოდ ჯარი და რეზერვი არ იყოს ნორმალური, არამედ სამშობლოს დაცვის განცდა არ არსებობდეს.

დღეს უკრაინელებს მაგალითად წარმოგვიდგენენ. მართლაც სამაგალითოა ის თავგანწირვა, რომელსაც უკრაინელი ერი აჩვენებს, მაგრამ აბა ერთი გადახედონ უკრაინის ჯარს, რამდენი პროცენტია დღეს დონბასის ფრონტზე პროფესიონალი და რამდენია გაწვეული. აბა დაუსვით ეს კითხვა მაგათ, ეს ინფორმაცია თუ აქვთ.

***— თქვენ გაქვთ?***

— დიახ, რაოდენობიდან გამომდინარე, უკვე 80-90% იქნება გაწვეული. უკრაინას 200-250-ათასიანი ჯარი ჰყავდა. ნაწილი ომის დროს დაიღუპა. გაწვევის მე-6 თუ მე-7 ტალღაა, გაწვევის ტალღებიც უკვე რთულად დასათვლელია. ვუყურებთ კადრებს, რომ ქუჩიდან პირდაპირ საომრად გაჰყავთ.

მათ ნაწილს ნატოს წევრ ქვეყნებში ამზადებენ, მაგრამ, არ ვიცი, სრულად კვალიფიციურად ამზადებენ თუ არა. რაღაც ინფორმაციები ჟონავს, მაგრამ ლაპარაკი არ მინდა. უკრაინის ომში ახლა, სულ ცოტა, 60-70% ხომ იქნება გაწვეული, რეზერვისტი.

***— მაინც დიდი ციფრია.***

— ომის დასაწყისში უკრაინის პროფესიონალური არმია იბრძოდა. ბრძოლის გაგრძელება მოუწევს იმავე არმიას, მაგრამ რეზერვისტებთან და გაწვეულებთან ერთად.

ახლა მთავარი კითხვა: ვის სჭირდება ომში გაუწვრთნელი ჯარისკაცი? არავის. გაუწვრთნელი ჯარისკაცი არის სახორცე მასა, როგორც ამას ეძახიან. სახორცე მასა არავის სჭირდება.

რეზერვის მომზადების სხვადასხვა ფორმა უნდა იყოს. გაიწვიე, მოამზადე, გაუშვი. იაგო ხვიჩიას ყოფილი ლიდერის ხელისუფლებაში ყოფნის დროს 18-დღიანი სარეზერვო მომზადება გავიარეთ. 18-დღიანი მომზადების რეზერვმა რა მოგვიტანა, ვნახეთ. არაფერი. ბრძოლაში ჩართვა ვერც მოასწრეს. კიდევ კარგი, ვერ მოასწრეს, სათანადოდ მომზადებული არ იყვნენ.

ამიტომ ეს, ერთი მხრივ, მავნებლობაა, მეორე მხრივ — არაპროფესიონალიზმი და დემაგოგია.

***— როგორ მოქმედებს ისეთი განცხადებები ჯარზე, რომლებსაც „გირჩისაგან“ დროდადრო ვისმენთ ხოლმე?***

— უარყოფითად. ის, რასაც „გირჩი“ და სხვები ამბობენ, იმ ჯარისკაცების შეურაცხყოფაა, რომლებიც დღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში იმყოფებიან (თავდაცვისა თუ შს სამინისტროებში). კანონით, 2025 წლიდან სხვა უწყებებში სავალდებულო სამხედრო სამსახური აღარ იქნება, როგორც იყო. მომზადებას მხოლოდ თავდაცვის სამინისტროში გაივლიან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

# გიორგი მშვენიერაძე: „მოწმემ დაადასტურა, რომ ივერი მელაშვილი ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა, საქართველოს ინტერესები დაეცვა“

– მოწმემ დაადასტურა, რომ ივერი მელაშვილი ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა, საქართველოს ინტერესები დაეცვა, მათ შორის, მოლაპარაკებების პროცესში, – ამის შესახებ საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებებში ბრალდებულ ივერი მელაშვილის ადვოკატმა გიორგი მშვენიერაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, სასამართლოში დაკითხულმა მოწმემ, რომელიც კომისიის ყოფილი წევრია, ვერ გაიხსენა ვერც ერთი შემთხვევა, როცა რომელიმე გადაწყვეტილება კომისიის მხრიდან, საქართველოს ინტერესების საზიანოდ იყო გამოყენებული.





– 2005-2007 წლებში, როცა მოწმე კომისიაში საქმიანობდა, რუკები, რომელზეც საუბარია, საქართველოს მხარეს უკვე ჰქონდა 2000-იან წლებში, ქალბატონ ნატალიას მიერ მოძიებულიც იქნა, კომისიის ექსპერტების მიერ შეფასებულიც იქნა და მისი გამოუსადეგრობაც დადგინდა და სახელმწიფო საზღვრის დადგენის დეპარტამენტში ინახებოდა. თუკი, სხვა კარტოგრაფიულ ან დოკუმენტურ მასალაზე იყო საუბარი, ნებისმიერ ქვეყანაში – ეს იქნებოდა აზერბაიჯანი, სომხეთი, თუ რუსეთი, ცხადია, ქართული მხარე ამ მასალის მოძიებით დაინტერესებული იყო. გასათვალისწინებელია დროც, ეს 2008 წლის ომამდე პერიოდი იყო, როცა რუსეთის სახელმწიფოსთან ჯერ კიდევ არსებობდა გარკვეული ურთიერთობა. რაც შეეხება მოწმის ჩვენებას, მან ცალსახად დაადასტურა, რომ ეს აპელირება, თითქოს, ბრალდებულები ითხოვდნენ საზღვრის ხაზის გავლებას თხემზე, ტყუილია, ეს ასე არ ყოფილა. პირიქით, მოწმე ჩვენებაში ამბობდა და კითხვაზეც არაერთხელ დააზუსტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუკებზე მოცემულობა იყო, რომ საზღვარი თხემზე გადიოდა, ქართული მხარის პოზიცია უცვლელი იყო და ყოველთვის მათ შორის, ბრალდებულების მონაწილეობით, დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს შემადგენლობაში აღმოჩენილიყო არა მხოლოდ დავით გარეჯის კომპლექსში შემავალი მონასტრები, რომელიც თხემზეა, არამედ ბერთუბნის მონასტერი. ძალიან ვწუხვართ, რომ ეს პოზიცია დღეს სახელმწიფოს გადახედილი აქვს და არაფერი ისმის ბერთუბნის მონასტერთან დაკავშირებით.

მოწმემ დაადასტურა, რომ ივერი მელაშვილი ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა, საქართველოს ინტერესები დაეცვა, მათ შორის, მოლაპარაკებების პროცესში. მოწმემ ვერ გაიხსენა ვერცერთი ეპიზოდი ან შემთხვევა, როცა რომელიმე გადაწყვეტილება კომისიის მხრიდან, შეიძლება საქართველოს ინტერესების საზიანოდ ყოფილიყო მიმართული, – განაცხადა მშვენიერაძემ.

ცნობისთვის, გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავით გარეჯთან მიმართებით.

სახელმწიფო ბრალდების ცნობით, ბრალდებულები განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან 2021 წლის 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20.000-20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

# პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე განხილულ იქნა მსოფლიო და რეგიონული უსაფრთხოების გარემოს მნიშვნელოვანი ტენდენციები, მათ შორის, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს.

სხდომაზე ასევე განხილულ იქნა ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების განახლების პროცესი, მათ შორის, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის 2023-2027 წლების სტრატეგიის“ საბოლოო რედაქცია და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი დამტკიცების შესახებ. ყურადღება დაეთმო „საფრთხეების შეფასების დოკუმენტისა“ და „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის“ განახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მიმდინარე წელს კიბერუსაფრთხოების ეროვნული ფორუმის გამართვის თაობაზე.

სხდომის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში რეფორმის მომზადების პროცესზე.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ საბჭოს მდივანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და საბჭოს მუდმივი წევრები: თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი, დაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ლომიძე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, ანზორ ჩუბინიძე და თავდაცვის ძალების მეთაური გიორგი მათიაშვილი.

# სააკაშვილის ადვოკატი: „მომაკვდავი პატიმრის საქმე უკვე მეხუთე დღეა, თუ მეტი არა, სააპელაციო სასამართლოში დევს“



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში მიხეილ სააკაშვილის საქმე უკვე თითქმის 5 დღეა შესულია და ჯერ პროცესი არ ჩანიშნულა.

მისი შეფასებით, ეს არის საქმის გაჭიანურება, როცა საკითხი მომაკვდავ პაციენტს ეხება.

– ჩვენ ვნახეთ გუშინ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ხელმოწერილი დოკუმენტი, ვნახეთ დემარში, რომელიც იუსტიციის მინისტრთან გაცხადდა, ასევე, ვნახეთ სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული დასკვნა. დღეს ჩვენ მოვიპოვებთ ამ დოკუმენტებს. დაცვის მხარე ამჟამად ელოდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

უკვე მეოთხე თუ მეხუთე დღეა, რაც საქმე შესულია სასამართლოში, თუმცა პროცესი არ ჩანიშნულა. დღეს იმედია გაირკვევა, როდის იქნება პროცესი. რა თქმა უნდა, გაჭიანურებაა, მომაკვდავი პატიმრის საქმე უკვე მეხუთე დღეა, თუ მეტი არა, დევს სააპელაციო სასამართლოში და ჯერ, როგორც ჩანს, დირექტივა არ მიუღიათ ზემოდან, რა უნდა გააკეთონ და ელოდებიან დირექტივას. სხვას ვერაფერს ვერ მივაწერთ იმას, რა უმსგავსობაც ხდება ახლა ამ სასამართლოში. ჩვენ ვმუშაობთ სათანადო გეგმის მიხედვით და უახლოეს დღეებში საზოგადოებას ვაცნობებთ, თუ რა ღონისძიებებს ვატარებთ, რომ გადავარჩინოთ ამ ადამიანის სიცოცხლე, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

მან, ამასთან, აღნიშნა, რომ დღეს პროკურატურაში „ვივამედისა“ და პენიტენციარული სამსახურის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას გეგმავს.

– დღეს შევიტანთ პროკურატურაში საჩივარს არამარტო „ვივამედთან“, არამედ პენიტენციარულ სამსახურთან დაკავშირებით იმ გაყალბებულ ოქმებზე, არაადეკვატურ მკურნალობასა და მთელ რიგ დარღვევებზე, რომელიც ამ კლინიკისა და პენიტენციარული სამსახურის მიერ იქნა დაშვებული. ასევე, დამატებით, შევიტანთ განცხადებას, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაიწყოს გამოძიება იუსტიციის მინისტრის და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც აკეთებენ არაადამიანურ განცხადებებს, დამამცირებელს სააკაშვილის მიმართ. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, ერთად თავს იყრის. ამას გავაჟღერებთ, რა თქმა უნდა, სააპელაციო სასამართლოშიც. შემდეგ სამოქმედო გეგმებზე მოგვიანებით ვაცნობებთ საზოგადოებას, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

# რა ხდება სოსო გოგაშვილის სასამართლო პროცესზე




სუს-ის ექსშეფი საბადრაგო სამსახურმა სასამართლოში გადაიყვანა. სოსო გოგაშვილის საქმის არსებითი განხილვა პროკურატურის მტკიცებულებების გამოკვლევით გრძელდება. გუშინ პროცესზე იმ ელექტრონულ მოწყობილობებზე ჩაწერილ მასალას იკვლევდნენ, რომელიც, გამოძიების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა გოგაშვილის სახლიდან ამოიღეს.

სუს-ის ექსშეფის პროცესი მედიისთვის დახურულია. პროცესს ვერც გოგაშვილის ოჯახის წევრები ესწრებიან.

დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ მასალა რომელიც გოგაშვილის სახლიდან ამოიღეს, თავად ჩადეს სამართალდამცველებმა.

– 2022 წლის 15 ივლისს გამოქვეყნდა საჯარო, გამომწვევი ფეისბუკ-სტატუსი, სადაც გოგაშვილი კონკრეტული მხილებით იმუქრებოდა და ბოლოს ამბობდა, აბა, მოდით, გელოდებით, იმოქმედეთ და სწორედაც 13 საათში იმოქმედეს. ამის შემდეგ შეიტანეს და ჩაალაგეს ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა უკანონო ინფორმაციები მის სახლში. რომ არ ყოფილიყო ეს სტატუსი, რომ არ ყოფილიყო მისი პოლიტიკური აქტიურობა, რა თქმა უნდა, ჩვენ დღეს სასამართლოზე არ ვიქნებით ამ საქმეზე. იოსებ გოგაშვილი არ იქნება ბრალდებული, – ამბობს ადვოკატი.

# რა მოხდა რკინიგზის სადგურის დასახლებაში

სისხლიანი დაპირისპირება გორში – რკინიგზის სადგურის დასახლებაში პოლიციაა მობილიზებული. ახალგაზრდებს შორის მომხდარი გარჩევა მკვლელობითა და დაჭრით დასრულდა.

# პრემიერ-მინისტრი ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე სოსო გიორგაძეს შეხვდა.



შეხვედრაზე საქპატენტის თავმჯდომარემ პრემიერს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და სამომავლო გეგმები გააცნო.

როგორც სოსო გიორგაძემ აღნიშნა, საქპატენტი ქართული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების საზღვარგარეთ დაცვის კუთხით მუშაობს. ამ მიმართულებით გაფორმდა ურთიერთაღიარების ხელშეკრულება საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის, ასევე რამდენიმე ქვეყანაში განხორციელდა და კვლავ გრძელდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების პირდაპირი წესით რეგისტრაცია.

საქპატენტის თავმჯდომარის თქმით, კვალიფიციური კადრების მოძიებისა და მომზადების მიზნით დაიწყო ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა. სტაჟიორების ნაწილი უკვე აყვანილია სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, ასევე მიმდინარეობს კონკურსი.

როგორც სოსო გიორგაძემ აღნიშნა, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის სფეროში. ამ მიმართულებით, პარლამენტის კულტურის კომიტეტთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის კანონპროექტზე.

ასევე, ტენდერის გზით შეირჩა აუდიტორული კომპანია, რომელიც საქართველოში მოქმედი კოლექტიური მართვის ორგანიზაციების მიერ ავტორთა ქონებრივი უფლებების მართვის საკითხებს შეისწავლის.

ასევე, საქართველომ მოიპოვა გეოგრაფიული აღნიშვნების მსოფლიო სიმპოზიუმის ჩატარების უფლება და სიმპოზიუმი ივნისში გაიმართება თბილისში.

შეხვედრა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

# დაკავებულია 8 პირი, რომლებიც ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი ვაგონ-ცისტერნიდან დიდი ოდენობით საწვავს იპარავდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობის ბრალდებით, 8 პირი დააკავეს, მათ შორის ორი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელია. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, სპეციალურად დამონტაჟებული სატუმბის – ე.წ. პომპის მეშვეობით, თბილისში, რკინიგზის მახარისხებელ სავაგონო პარკში არსებული, ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილი ვაგონ-ცისტერნიდან დიდი ოდენობით საწვავს იპარავდნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს ვაგონ-ცისტერნიდან მოპარული დაახლოებით ტონა-ნახევარი საწვავი, რომელიც მოთავსებული იყო 87 ცალ 20-ლიტრიან ბიდონში. ასევე ამოღებულია 127 ცარიელი 20-ლიტრიანი ბიდონი.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

2023, 1 მარტი, №42
კალეიდოსკოპი

# აშშ-ის დაზვერვა რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ




უკრაინის ომს თავის ტელეინტერვიუში შეეხო თავად აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორი უილიამ ბიორნსი. მან ხაზი გაუსვა, რომ უკვე პუტინსაც ესმის: უკრაინის ოკუპაცია ვერ მოხერხდება. დღეს რუსეთის დიქტატორი იმედს ორ ფაქტორზე ამყარებს: 1. დონბასისა და ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქის ოკუპაცია; 2) ომის გაჭიანურება და, როგორც აშშ-ისა და ევროპისათვის, ისე თავად უკრაინისათვის ქანცის გაცლა.

აშშ-ის დაზვერვის შეფმა განაცხადა, რომ ამან განაპირობა ის სავალალო ვითარება, რომელშიც რუსეთი აღმოჩნდა. კერძოდ, ესაა რუსი მობილიზებულების შეტევაზე გარეკვა. ხშირ შემთხვევაში ეს ხალხი ცუდად მომზადებული და ცუდად აღჭურვილია. ისინი რუსეთის ყველაზე ღარიბი რეგიონების, დაღესტნისა და იაკუტიის მაცხოვრებლები არიან. თუ მოსკოვ-პეტერბურგის მცხოვრებნი ჯარში წასვლას ყოველმხრივ თავს არიდებენ, კრემლი დანაკლისის შევსებას ღარიბი რეგიონების ხარჯზე ცდილობს. ეს განამტკიცებს მოსაზრებას, რომ ისინი მოსკოვს არჩენენ, ანუ მოსკოვი მათ ხარჯზე ცხოვრობს.

აშშ-ის დაზვერვის შეფმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინს ადამიანთა სიკვდილი არ აღელვებს. რუსეთის დიქტატორი დარწმუნებულია, რომ ომის გახანგრძლივება გამოფიტავს როგორც უკრაინას, ისე მის დასავლელ მოკავშირეებს. შესაბამისად, ადრე თუ გვიან უკრაინაში, ასევე აშშ-სა და ევროპაში რუსეთთან მოლაპარაკების იდეა გაიმარჯვებს. ამავე დროს, პუტინი არ გამორიცხავს იმას, რომ უკრაინის მთავრობა ნებისმიერ პროტესტს ჩაახშობს. აშშ-სა და ევროპაში ეს ვერ მოხერხდება. პუტინიც დარწმუნებულია, რომ უკრაინის ბედს დიდი სახელმწიფოები გადაწყვეტენ, ოღონდ უკრაინის გარეშე.

ყველაზე გააფთრებული ბრძოლები კვლავაც დონბასშია.

დღეს საყოველთაო ყურადღება ბახმუტისაკენაა მიმართული. ვლადიმერ პუტინს ამ ქალაქთან დაკავშირებით თავისი გეგმების კორექტირება რამდენიმეჯერ მოუხდა. რუსეთის დიქტატორი აპირებდა, აეღო ქალაქი თებერვალში, სტალინგრადის ბრძოლის წლისთავისათვის. რუსეთმა სტალინგრადის ბრძოლაში გამარჯვება მართლაც აღნიშნა, ოღონდ ბახმუტის აღების გარეშე. ამ ქალაქთან ბრძოლები გრძელდებოდა. პუტინის მეორე გეგმა ბახმუტის აღებას ამა წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების წლისთავზე იმედოვნებდა. მოსკოვმა ვერც ეს მოახერხა. ასევე ჩაიშალა ოკუპანტების მცდელობა, დაეკავებინათ მარინკა, უგლედარი ან ალყაში მოექციათ ავდეევკა.

# აშშ უკრაინის მიმართ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალური პროგრამის ამოქმედებას ელის



აშშ-მ უკრაინას ბიუჯეტიდან მორიგი ტრანში გადაურიცხა. ამის შესახებ განაცხადა აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ჯენეტ ელენმა. ამავე დროს, ელენმა აღნიშნა, რომ მალე საერთაშორისო სავალუტო ფონდი აამოქმედებს თავის პროგრამას უკრაინის მიმართ.

# უნგრეთი რუსეთს მხარს უჭერს



უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ჩინეთის ე.წ. სამშვიდობო გეგმას. ამავე დროს, ორბანმა დაამატა:

– ჩვენ ჩვენი შენიშვნები გვაქვს! გეგმაში ნათქვამია, რომ რუსეთმა უკრაინიდან ჯარები უნდა გაიყვანოს! ჩვენი აზრით, ეს არ არის პირველხარისხოვანი.

ორბანი, ჩინელებისაგან განსხვავებით, აშკარა პრორუსულ პოზიციაზე დგას. ის აცხადებს, რომ ცეცხლი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და მშვიდობიანი მოლაპარაკებები დაიწყოს. ამით უნგრეთის პრემიერ– მინისტრი მთლიანად იმეორებს პუტინის პოზიციას.

# მედვედევი იმუქრება



რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე მედვედევი აშკარა მუქარაზე გადავიდა. ის ამტკიცებს, რომ უკრაინისათვის იარაღის მიწოდებით აშშ ფაქტობრივად აღმოჩნდა ომის მდგომარეობაში რუსეთთან. მედვედევის აზრით, ამას რუსეთის მწვავე რეაქცია მოჰყვება.

– ჩვენ გავანადგურებთ ამერიკელთა ყველა ბაზას, საიდანაც რუსეთს საფრთხე ემუქრება! – აცხადებს მედვედევი.

მედვედევს მხარი დაუჭირა ოდიოზურმა ჟურნალისტმა მარგარიტა სიმონიანმაც.

ჟურნალისტის აზრით, ულტიმატუმი ბრძოლის ჟინს გაუქრობს აშშ-სა და ნატოს. დაიწყება მშვიდობიანი მოლაპარაკებები. მათში, რუსეთისა და აშშ-ის გარდა, ჩაერევიან ევროკავშირი და ჩინეთი.

# დანაკარგები ოკუპანტებს შორის

თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, ომის დაწყებიდან დღემდე რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.388; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 6.630; არტილერია – 2.383; თვითმფრინავები – 300; განადგურებულია 149.249 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# მსხვერპლშეწირვის რიტუალის დროს სპილომ სამი ადამიანი გასრისა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ერთ-ერთ სოფელში სპილომ სამი ადგილობრივი მცხოვრები მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესრულების დროს გასრისა.

ხუთშაბათს, 16 თებერვალს, ასეულობით ადგილობრივი მცხოვრები იღებდა მონაწილეობას იაჯნას რიტუალში. ცერემონიის შესასრულებლად ადგილობრივებმა ორი სპილო დაიქირავეს.

როდესაც ქალებმა ცხოველებისადმი თაყვანისცემა დაიწყეს, ერთ-ერთი მათგანი მოულოდნელად გაცოფდა და იქ მყოფთ დაერია. მისი თავდასხმის შედეგად ოთხი წლის ბავშვი და ორი მოზრდილი ადამიანი დაიღუპა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა სპილოს დაოკება მოახერხეს და ის სოფელს გაარიდეს. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ სპილოების მარეკი ქალებს ცხოველებთან შეხების უფლებას აძლევდა, ვინაიდან ისინი ამაში ფულს უხდიდნენ.

შტატის მთავარმა მინისტრმა იოგი ადიტიანატხმა დაღუპულების ოჯახებს მიუსამძიმრა და დაჰპირდა, რომ ისინი კომპენსაციის სახით 500 ათას რუპიას მიიღებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# დემნა ახალ კოლექციას პარიზში წარადგენს



2023 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციას დიზაინერი დემნა პარიზში წარადგენს.

„ბალენსიაგას“ ჩვენება იქნება ბრენდის დაბრუნება დეკემბრის გლობალური სკანდალის შემდეგ, როდესაც ის ბავშვთა ექსპლუატაციის წახალისებაში დაადანაშაულეს.

დემნას განსაკუთრებულ ნიჭიერებაში დარწმუნებულია „ბალენსიაგას“ მფლობელი, ფრანგი მილიარდერი ფრანსუა-ანრი პინო:

– დარწმუნებული ვარ, რომ დემნას ნიჭითა და სედრიქ შარბის ხელმძღვანელობით ჩვენ გადავლახავთ სირთულეებს. დეკემბრის მოვლენებმა „ბალენსიაგაზე“ დიდი გავლენა იქონია, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში. ანგლოსაქსურ ბაზარზე ბრენდს ბევრი მუშაობა დასჭირდება, რომ რეპუტაცია აღიდგინოს, თუმცა აზიაში რეაქციები არ მოჰყოლია. ახლახან დავბრუნდით ჩინეთიდან, ჩინური ახალი წლის გაყიდვები იმაზე კარგი მივიღეთ, ვიდრე ველოდით. ჩინეთში მაღაზიები სავსეა. ახლა ჩვენ ვმუშაობთ „ბალენსიაგას“ პარფიუმერიის ლიცენზიაზე, რის შემდეგაც იქნება სუნამოს პრეზენტაცია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# მუნდიალის ყველა მონაწილე ცნობილია

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება. თუმცა, ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიოს უდიდეს ფორუმზე ერთადერთი დებიუტანტი არ იქნება. საქართველოს მსგავსად, იგივე ლატვიამ, კაპო ვერდემ და სამხრეთ სუდანმა მოახერხეს.

სულ მსოფლიოს ჩემპიონატზე 32 გუნდი ითამაშებს. კვოტების მიხედვით, კონტინენტები ასე გადანაწილდა.

**ევროპა (12 ქვეყანა):** ფინეთი, გერმანია, ლატვია, იტალია, ესპანეთი, სლოვენია, ლიეტუვა, საფრანგეთი, საბერძნეთი, საქართველო, მონტენეგრო, სერბეთი;

**აზია (8):** იაპონია, ფილიპინები, ახალი ზელანდია, ლიბანი, ავსტრალია, ჩინეთი, იორდანია, ირანი;

**აფრიკა (5):** კოტ დივუარი, სამხრეთ სუდანი, ეგვიპტე, ანგოლა, კაპო ვერდე;

**ამერიკა (7):**კანადა, აშშ, მექსიკა, პუერტო რიკო, დომინიკის რესპუბლიკა, ვენესუელა, ბრაზილია;

მსოფლიოს ჩემპიონატი ერთდროულად სამ ქვეყანა უმასპინძლებს – ინდონეზია, იაპონია და ფილიპინები. ჩემპიონატის წილისყრა 29 აპრილს ინდონეზიაში გაიმართება. ჯერჯერობით, ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ამერიკა ფილიპინებში ითამაშებს, სლოვენია – იაპონიაში, ხოლო კანადა – ინდონეზიაში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# პატიმარმა შემოწმების დროს მობილური ტელეფონი გადაყლაპა

ინდოეთის ბიხარის შტატის ქალაქ გოპალგანჯში პატიმარი მას შემდეგ გადაიყვანეს საავადმყოფოში, რაც მან შემოწმების დროს, იმის შიშით, რომ დასჯიდნენ, მობილური ტელეფონი გადაყლაპა.

პატიმარი კაიშარ ალი საავადმყოფოში მუცლის არეში ძლიერ ტკივილებზე ჩივილის გამო გადაიყვანეს. გამოკვლევის ჩატარების შედეგად ექიმებმა მისი მუცლის ღრუში უცხო სხეული აღმოაჩინეს.

მამაკაცმა განაცხადა, რომ მობილური ტელეფონი საპატიმროში მოულოდნელი შემოწმების დროს გადაყლაპა, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მისი უკანონოდ ფლობის გამო შესაძლოა დასჯილიყო. ამ დროისთვის მას საავადმყოფოში მკურნალობის კურსი უტარდება. მის მდგომარეობას ექიმები სტაბილურად აფასებენ.

ალის პატიმრობა 2020 წელს ნარკოდანაშაულისთვის მიესაჯა. აღსანიშნავია, რომ ინდოეთის ციხეებში პატიმრებისთვის მობილური ტელეფონებით სარგებლობა აკრძალულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## ონისე ჩელეხსათის (ქელეხსაშვილს)



**ვულოცავთ დაბადების 75-ე წლისთავს. დიდი ვახტანგ ბალავაძის ერთ-ერთ გამორჩეულ შეგირდს, სპორტის ოსტატს, თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონს, ასევე საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს.**

**აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ წარმატებით მოღვაწეობს სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.**

**არის სამაგალითო ოჯახის მზრუნველი მამა და ბაბუა, ქართულოსური ტრადიციებისა და ძმობის აქტიური გულშემატკივარი და ქომაგი.**

**მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ჭაბუკური შემართებითა და ხალისით უძღვება მასზე დაკისრებულ მოვალეობას.**

**ბატონო ონისე, უამრავი ბედნიერი წელი შეგმატოთ უფალმა.**

**ჯანმრთელად და ენერგიულად იყავით!**

**მეგობრები**

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ხვიჩა კვარაცხელია: „ისეთი პატარა ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, გზის გაკვალვა ადვილი არ არის“



ხვიჩა კვარაცხელიაზე უკვე ძალიან ბევრს საუბრობენ, თუმცა, როდესაც თავად უეფა აფასებს, მაინც სხვაა. ჩვენებურის ინტერვიუც სწორედ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**ხვიჩა კვარაცხელია:**

– ჩემთვის ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მომიწევდა თამაში. მეტიც, ის ფაქტი, რომ ნაპოლის ფეხბურთელი ვიქნებოდი და სერია ა-ში ვითამაშებდი, ოცნების ახდენას ჰგავდა. როდესაც ყველაფერი გავაანალიზე და გავიაზრე, რომ „ამ დონეზე“ მომიწევდა თამაში, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ მატჩებისთვის უკვე სხვანაირად უნდა მოვემზადებულიყავი და სხვანაირი მუშაობის განწყობა უნდა შემექმნა. ვფიქრობ, გამოწვევებს კარგად გავართვი თავი და ადაპტაცია სწრაფად გავიარე.

***– სერია ა-ს შესახებ რას იტყვი?***

– ძალიან განსხვავდება იმ ლიგებისგან, სადაც მითამაშია. აქ არიან ტექნიკური, სწრაფი ფეხბურთელები, რომლებიც ჩინებულად მოქმედებენ როგორც შეტევაში, ასევე – დაცვაში. ყველაზე დიდი სხვაობა კი ალბათ მაინც თამაშის ტემპია.

***– ყველა კვარადონას გეძახის. კმაყოფილი ხარ ამ მეტსახელით?***

– თავიდან ვერ ვიჯერებდი, ჩემს სახელს ასეთი კალიბრის ფეხბურთელთან რომ აკავშირებდნენ. ასეთ რაღაცას ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ ამ ამბავმა ძალიან წამახალისა კიდეც. არ ვიცოდი, რა რეაქცია მქონოდა, მადლობა მეთქვა თუ სხვა რაღაც გამეკეთებინა. ახლა თანდათანობით შევეჩვიე და, უნდა გითხრათ, რომ ასეთ ფეხბურთელთან შედარება მახარებს. ეს დაუჯერებელია.

***– ნაპოლის ფანებში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობ.***

– ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ აქ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს. ქუჩაში ხშირად არ გავდივარ, მაგრამ როდესაც მიწევს და მანქანიდან გადმოვდივარ, ვხვდები, რომ ქალაქი ფეხბურთით სუნთქავს. მათ უყვართ ფეხბურთი, ისინი აღმერთებენ მარადონას, რომელიც ამ ქალაქში, საითაც გაიხედავ, ყველგან არის: ტაქსის შუშებზე თუ მრავალ სხვა ადგილას. ამას რომ უყურებ, ამბობ – ის აქ ღმერთია.

***– მამა ფეხბურთელი იყო. გამოდგა მისი მემკვიდრეობა და გვერდით დგომა?***

– მამა მუდამ გვერდში მიდგას და რჩევებს ყოველი თამაშის შემდეგ სიამოვნებით მაძლევს. მისი რჩევები სასარგებლოა და ჩემს განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს. მეორე მხრივ, ვარჯიშებზე დედას დავყავდი და ბოლომდე მელოდებოდა. მშობლებმა ჩემს კარიერაში უდიდესი როლი ითამაშეს.

***– ყაზანის რუბინიდან მოულოდნელად ბათუმის დინამოში აღმოჩნდი. რა მოგცა ამ პერიოდმა?***

– ბათუმში გატარებულმა ორმა თვემ დაკარგული ენერგიის აღდგენის საშუალება მომცა. სტადიონზე მოსული ხალხი საოცარ ატმოსფეროს ქმნიდა. ბათუმის დინამოსა და მისი ხელმძღვანელების მადლიერი ყოველთვის ვიქნები. მინდა მადლობა გადავუხადო. იგრძნობოდა, რომ ხალხს ერთი სული ჰქონდა ტრიბუნები შეევსო. ასეთი ატმოსფერო ქართულ ფეხბურთს დიდი ხანი აკლდა. გულშემატკივრის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. მათ გარეშე ძნელია მოტივაციის პოვნა. საქართველოს ჩემპიონატში ბევრი კარგი ფეხბურთელია, რომელთაც შეუძლიათ განვითარდნენ. მე ყველას ვთავაზობ, ჩავიდნენ საქართველოში და დაესწრონ დინამოს თამაშებს, დაეხმარონ მას. გულშემატკივრის მხარდაჭერა კი, სადაც არ უნდა თამაშობდე, ყველგან მნიშვნელოვანია.

***– ამბობენ, ბავშვობაშივე გეტყობოდა, რომ დიდ ფეხბურთს ითამაშებდი.***

– 2011 წელს დინამოს აკადემიაში მივედი, რომელსაც ანდრეს კარასკო ხელმძღვანელობს. ესპანელი სპეციალისტი დიდად დამეხმარა. ჩემს მიმართ ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი, ნამდვილი პროფესიონალია. თუმცა ყოველდღე ვარჯიშების შემდეგ 3-4 საათი ისევ ფეხბურთს ვთამაშობდი. მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდებოდი, რადგან ისეთი პატარა ქვეყნიდან, როგორიც საქართველოა, გზის გაკვალვა ადვილი არ არის. დღეს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში ვთამაშობ და ბედნიერი ვარ.

***– რატომ 77?***

– ნომერი მე და ჩემმა აგენტმა ავირჩიეთ. მამუკა ჯუღელს აგენტს არასდროს ვეძახი – ის უფრო ჩემი ოჯახის წევრია. 14 წლის ასაკიდან ვიცნობ და ნომერს ყოველთვის ერთად ვირჩევდით. ჩემი საყვარელი ციფრი არის 7, ამიტომაც ავირჩიეთ 77.

***– თავისუფალ დროს რას აკეთებ?***

– ბევრი თავისუფალი დრო არ მაქვს, მაგრამ, როდესაც ჩამივარდება ხოლმე, ვისვენებ, მეგობრებთან ვლაპარაკობ, წიგნებს ვკითხულობ ან ფილმებს ვუყურებ. ჩემი საყვარელი სერიალია „გაქცევა ციხიდან“, რომელსაც აგერ უკვე მესამედ ვუყურებ. ამასწინათ დავამთავრე „უცნაური ამბების“ ბოლო სეზონი.

# ბორჯღალოსნები ნახევარფინალისთვის ემზადებიან




საქართველოს ნაკრები 2023 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩისთვის მზადებას 33 კაცის შემადგენლობით შეუდგა. რუმინეთთან სათამაშოდ ლევან მაისაშვილმა გუნდი „შევარდენის“ ბაზაზე შეკრიბა.

33 მორაგბიდან 18 მორკინალი და 15 ხაზის მოთამაშეა. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, გაფართოებულ რაზმში მცირედი ცვლილებებია: ვახტანგ აბდალაძის ნაცვლად შეკრებაზეა სანდრო ქუნთელია; 9 ნომრის პოზიციაზე მიხეილ ალანიას ნაცვლად ლევან მაისაშვილმა თენგიზ პერანიძეს უხმო.

ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდები ფინალში 19 მარტს ესპანეთის ქალაქ ბადახოსში ფინალში შეიბმებიან.

ბორჯღალოსნებს რუმინეთთან ურთიერთ შეხვედრების ყველაზე დიდი ისტორია აქვს. 1998 წლიდან დღემდე გუნდებმა 26 თამაში (12 შინ, 12 სტუმრად, 2 ნეიტრალურზე) გამართეს და 16 საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, ერთხელ ფრე დაფიქსირდა, 9 შემთხვევაში კი გამარჯვება მეტოქეს დარჩა. ბორჯღალოსნებმა მეტოქეს ჯამში გაუტანეს 52 ლელო და 530 ქულა. რუმინელთა ანგარიშზე 36 ლელო და 434 ქულაა.

2002 წლიდან, ქართული მხარის ინიციატივით, საქართველოსა და რუმინეთის ურთიერთ შეხვედრებში ანთიმოზ ივერიელის თასი თამაშდება. აქამდე საზიარო თასი საქართველომ – 15-ჯერ, რუმინეთმა კი 6-ჯერ შემართა.

**ბორჯღალოსნების გაფართოებული შემადგენლობა**

**შერკინება:** გურამ გოგიჩაშვილი, ნიკა აბულაძე, სერგო აბრამიშვილი; ბექა გიგაშვილი, გურამ პაპიძე, ალექსანდრე ქუნთელია; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, თენგიზ ზამთარაძე; კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, ლადო ჩაჩანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი; ოთარ გიორგაძე, ბექა სალინაძე, გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, მიხეილ გაჩეჩილაძე;

**უკანახაზი:** ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, თენგიზ პერანიძე; თედო აბჟანდაძე, ლუკა მატკავა; გიორგი კვესელაძე, დემე თაფლაძე, თორნიკე კახოიძე, მერაბ შარიქაძე; სანდრო თოდუა, აკა ტაბუცაძე, ოთარ ლაშხი; ლაშა ხმალაძე, მირიან მოდებაძე, დავით ნინიაშვილი.

# ლუკა ლოჩოშვილი ფიფამ დააჯილდოვა

27 თებერვალს პარიზში ფიფას 2022 წლის დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, სადაც წლის საუკეთესოები სხვადასხვა ნომინაციებში გამოავლინეს.

ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო იყო, რომ საქართველოს ნაკრებისა და იტალიური კრემონეზეს ფეხბურთელ ლუკა ლოჩოშვილს სამართლიანი თამაშისთვის დაწესებული სპეციალური ჯილდო გადაეცა. ფეარ ფლეის პრიზზე ლოჩოშვილთან ერთად ნომინირებული სადიო მანე და ედუარდო კამავინგა იყვნენ.



გასული წლის 27 თებერვალს ლოჩოშვილი ჯერ კიდევ ვოლფსბერგერში თამაშობდა, როდესაც ვენის აუსტრიას ფეხბურთელი გეორგ ტაიგლი მოედანზე გონდაკარგული დაეცა. სიტუაციაში ყველაზე სწრაფად ქართველი ფეხბურთელი გაერკვა, რომელმაც დაზარალებულთან მიირბინა და პირველადი დახმარება აღმოუჩინა.

ლუკა ამის გამო ავსტრიაში გასულ წელსვე დააჯილდოვეს, ამჯერად კი, ფიფამ დააფასა. 24 წლის ლოჩოშვილი პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ფიფასგან სამართლიანი თამაშისთვის დაწესებული ჯილდო დაიმსახურა.

**ლუკა ლოჩოშვილი:**

– მოგესალმებით ყველას. პირველ რიგში, ბოდიშს გიხდით, რომ ვერ ვესწრები ცერემონიას, რადგან ხვალ თამაში გვაქვს. ეს აღიარება ჩემთვის დიდი პატივია, მადლობელი ვარ ამ ჯილდოსთვის და პატივისცემისთვის, ძალიან ბედნიერი ვარ. თუმცა, უფრო მეტად ბედნიერი იმის გამო ვარ, რომ გეორგის სიცოცხლე გადავარჩინე. ფეხბურთში მთავარი სამართლიანი თამაში და პატივისცემაა. ბედნიერი ვარ, რომ ის ახლა კარგადაა თავის ოჯახთან ერთად. ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ, რაც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია. სხვა ნომინაციებში საუკეთესოები ასე განაწილდნენ:

**საუკეთესო მეკარე ქალი** – მერი ირპსი (ინგლისი);

**საუკეთესო მეკარე კაცი** – ემელიანო მარტინესი (არგენტინა);

**ფერენც პუშკაშის სახელობის პრიზი წლის საუკეთესო გოლისთვის** – მარჩინ ოლეკსი (ამპუტანტი-ფეხბურთელი);

**საუკეთესო მწვრთნელი ქალთა შორის** – სარინა ვიგმანი (ინგლისი ნაკრების მთავარი მწვრთნელი);

**საუკეთესო მწვრთნელი მამაკაცთა შორის** – ლიონელ სკალონი (არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი);

**საუკეთესო გულშემატკივრები**– არგენტინის ნაკრების გულშემატკივრები;

**წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი** – ალექსია პუტელასი (ესპანეთი, ბარსელონა);

**წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი** – ლიონელ მესი (არგენტინა, პსჟ).

**წლის სიმბოლური ნაკრები** –ტიბო კურტუა (რეალი), აშრაფ ჰაკიმი (პსჟ), ჟოაუ კანსელო (სიტი/ბაიერნი), ვირჯილ ვან დაიკი (ლივერპული), კევინ დე ბრუინი (სიტი), ლუკა მოდრიჩი (რეალი), კაზემირო (რეალი/მანჩესტერი), ლიონელ მესი (პსჟ), კილიან მბაპე (პსჟ), ქარიმ ბენზემა (რეალი), ერლინგ ჰალანდი (სიტი).

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ფიფა გამოკითხვას ატარებს, რომელშიც ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელები, კაპიტნები და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

საქართველოდან გამოკითხვაში ვილი სანიოლი, გურამ კაშია და გაზეთ „სარბიელის“ დამფუძნებელი ზურაბ ფოცხვერია მონაწილეობდნენ. მათი სამეულები ასეთია:

**ვილი სანიოლი:** კილიან მბაპე, ლიონელ მესი, ქარიმ ბენზემა;

**გურამ კაშია:** ლიონელ მესი, კილიან მბაპე, ლუკა მოდრიჩი;

**ზურაბ ფოცხვერია:** ლიონელ მესი, კილიან მბაპე, ვინისიუს ჟუნიორი.

# შედეგები

**27 თებერვალი**
**ფეხბურთი**

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

სუონსი-როტერჰემი ........................ 1:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-ხეტაფე ..................... 2:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 23 | 19 | 2 | 2 | 45-8 | 59 |
| 2.რეალი | 23 | 16 | 4 | 3 | 47-18 | 52 |
| 3.სოსიედადი | 23 | 13 | 4 | 6 | 32-23 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 23 | 12 | 6 | 5 | 32-18 | 42 |
| 5.ბეტისი | 23 | 12 | 4 | 7 | 32-25 | 40 |
| 6.რაიო | 23 | 9 | 7 | 7 | 29-25 | 34 |
| 7.ვილიარეალი | 23 | 10 | 4 | 9 | 25-23 | 34 |
| 8.ოსასუნა | 23 | 9 | 6 | 8 | 22-23 | 33 |
| 9.ბილბაო | 23 | 9 | 5 | 9 | 33-26 | 32 |
| 10.მალიორკა | 23 | 9 | 4 | 10 | 21-24 | 31 |
| 11.ხირონა | 23 | 8 | 6 | 9 | 36-35 | 30 |
| 12.ესპანიოლი | 23 | 6 | 9 | 8 | 29-34 | 27 |
| 13.სელტა | 23 | 7 | 6 | 10 | 26-34 | 27 |
| 14.სევილია | 23 | 6 | 7 | 10 | 26-33 | 25 |
| 15.ალმერია | 23 | 7 | 4 | 12 | 28-40 | 25 |
| 16.კადისი | 23 | 6 | 7 | 10 | 18-35 | 25 |
| 17.ვალიადოლიდი | 23 | 7 | 3 | 13 | 16-33 | 24 |
| 18.ვალენსია | 23 | 6 | 5 | 12 | 27-27 | 23 |
| 19.ხეტაფე | 23 | 5 | 7 | 11 | 20-30 | 22 |
| 20.ელჩე | 23 | 1 | 6 | 16 | 17-48 | 9 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

გრანადა-მალაგა ........................... 1:0

### იტალია. სერია ა

ვერონა-ფიორენტინა ..................... 0:3
ლაციო-სამპდორია ....................... 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 24 | 21 | 2 | 1 | 58-15 | 65 |
| 2.ინტერი | 24 | 15 | 2 | 7 | 44-28 | 47 |
| 3.მილანი | 24 | 14 | 5 | 5 | 41-30 | 47 |
| 4.ლაციო | 24 | 13 | 6 | 5 | 40-19 | 45 |
| 5.რომა | 23 | 13 | 5 | 5 | 30-19 | 44 |
| 6.ატალანტა | 24 | 12 | 5 | 7 | 42-28 | 41 |
| 7.ბოლონია | 24 | 10 | 5 | 9 | 31-33 | 35 |
| 8.იუვენტუსი | 23 | 14 | 5 | 4 | 35-17 | 32 |
| 9.უდინეზე | 24 | 7 | 10 | 7 | 33-30 | 31 |
| 10.ტორინო | 23 | 8 | 7 | 8 | 24-25 | 31 |
| 11.მონცა | 24 | 8 | 5 | 11 | 28-34 | 29 |
| 12.ფიორენტინა | 24 | 7 | 7 | 10 | 27-30 | 28 |
| 13.ემპოლი | 24 | 6 | 10 | 8 | 22-31 | 28 |
| 14.ლეჩე | 24 | 6 | 9 | 9 | 24-27 | 27 |
| 15.სასუოლო | 24 | 7 | 6 | 11 | 27-35 | 27 |
| 16.სალერნიტანა | 24 | 6 | 6 | 12 | 28-44 | 24 |
| 17.სპეცია | 24 | 4 | 7 | 13 | 21-41 | 20 |
| 18.ვერონა | 24 | 4 | 5 | 15 | 20-37 | 17 |
| 19.სამპდორია | 24 | 2 | 5 | 17 | 11-39 | 11 |
| 20.კრემონეზე | 23 | 0 | 9 | 14 | 17-42 | 9 |

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

### საფრანგეთი. ლიგა 2

ამიენი-ბორდო ................................ 1:2

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სპორტინგი-ეშტორილი ................. 2:0
გიმარაეში-ბრაგა ........................... 2:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზაგლებიე-ლეგნიცა ....................... 2:1

### დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-ბრონდბიუ ............ 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ავსტრიელი კომპოზიტორი; 2. რაიმე მოქმედების აღმძვრელი მიზეზი; 3. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული მშრალი სამარკო ღვინო; 4. იახტების, ნავების სადგომი ნავსადგურში; 5. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 9. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 10. ებრაელი მწერალი, რომან „ფეთხაინის“ ავტორი; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 16. უბანი თბილისში; 19. წვრილმანი, ფორმალური წესების დამცველი ადამიანი; 20. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 21. ძრავიანი ველოსიპედი.

**თარაზულად:** 6. სახელმწიფოს ძირითადი კანონი; 7. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. ქალაქი, კურორტი, ნავსადგური საქართველოში; 11. ვერანდიანი ხის სახლი ინდოეთში; 12. მთიანეთი ციმბირის სამხრეთში; 13. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 17. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. საერთაშორისო კატეგორიის ქართველი რაგბის მსაჯი; 22. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის კანონებისა და წესების კრებული; 23. გიგანტური აფრიკული ხე; 24. თვითმფრინავის, გემის ოფიციანტი; 25. ატომური ბომბით განადგურებული ქალაქი იაპონიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაროჟნა; 2. ელადე; 3. ბარაკონი; 4. კრიზისი; 5. დისპაშერი; 9. კრისტი; 12. სუფრული; 14. ქიმერა; 15. ევრო; 17. კონკა; 18. ჭკუა.

**თარაზულად:** 6. ფაველა; 7. მაზერატი; 8. პობედა; 10. გინეა; 11. ბაგრატიონი; 13. ექსპერტი; 16. ბუზუკი; 19. კომუნიკე; 20. ნაფტუსია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პროფანი; 2. ბოიკოტი; 3. არბიტრაჟი; 4. ფიორდი; 5. არმანი; 9. ბადრო; 10. ავენიდა; 14. ჰიდროფობია; 15. ნუმიზმატი; 16. ფრესკო; 19. მისტიკა; 20. საინსი; 21. კრისტი.

**თარაზულად:** 6. პროვოკატორი; 7. ჰარიერი; 8. აფრიკა; 11. შარდენი; 12. ოტავა; 13. გამპერი; 17. კურლანდია; 18. კარლსბადი; 22. მარკესი; 23. კარდიფი; 24. ოკულისტი; 25. პირამიდა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


1 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6196 | ევრო — 2.7791 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1674 | 100 რუსული რუბლი — 3.4932 |

## ამინდის პროგნოზი 1 მარტისათვის




## რობერტ ლევანდოვსკი 2 კვირა ვერ ითამაშებს



ბარსელონის ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ ერთ-ერთ ვარჯიშზე დისკომფორტი იგრძნო. მას კუნთის დაჭიმულობა აქვს, რის გამოც 2 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლევანდოვსკი გამოტოვებს რეალთან შეხვედრას, რომელიც 2 მარტს გაიმართება. მის მოედანზე დაბრუნებას მარტის შუა რიცხვებში უნდა ველოდოთ.

## მარკუს რეშფორდი: „ვიცი, რომ უფრო მეტი შემიძლია“



მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა თავის თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ კარგ ფორმაშია, მაგრამ იცის, რომ მეტი შეუძლია. რეშფორდის აზრით, მანჩესტერი ამჟამად ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია: „გულშემატკივარმა უკვე კარგად იცის ჩვენი შესაძლებლობები და მინდა, რომ სეზონი ტრიუმფატორებად დავასრულოთ. მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და უფრო მეტიც შემიძლია“.

## მბაპე: „მესისთან ერთად თამაში დიდი სიამოვნებაა“

კილიან მბაპემ ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ მასთან ერთად მოედანზე ყოფნა და თამაში დიდი სიამოვნებაა. ის ყოველთვის ცდილობს, მესისთან ახლოს იყოს და მას პასი გაუკეთოს: „ის მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია და მესისთან ერთად თამაში ყოველთვის პრივილეგიაა. იმედი მაქვს, მესი კიდევ დიდხანს იქნება პსჟ-ში და ერთად ტიტულებს მოვიგებთ“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ქართველი ტურისტს ეკითხება:

– ფრანგი ხარ?

– დიახ.

– აბა, არაბულად მითხარი რამე?

•••

კაცი კითხულობს:

– თქვენ რა, აქ ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბი გახსენით?

– საიდან დაასკვენით?

– სახეზე ვერავის ვცნობ.

•••

ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– სამწუხაროდ უნდა გითხრათ, რომ თქვენ ცოფის ნიშნები გაქვთ.

– მართლა, ექიმო?

– დიახ, ნამდვილად ასეა?

– კარგით, – ჩაილაპარაკა, მერე ფურცელი და კალამი აიღო და წერა დაიწყო.

გაკვირვებული ექიმი ეკითხება:

– ანდერძს წერთ?

კაცი ხმას არ სცემს და წერას აგრძელებს.

– თუ ანდერძს წერთ, სულ ტყუილად ირჯებით, არ მოკვდებით.

– მაცალე, ექიმო, იმათ სიას ვწერ, ვისაც უნდა ვუკბინო.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, მილიონი დოლარის სანაცვლოდ სხვასთან რომ წავსულიყავი, თანახმა იქნებოდი?

– თუ ერთიანად და დაუყოვნებლივ გადაიხდიდა, მაშინ კი!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## რამაზ ჩხიკვაძე 95 წლის გახდებოდა



თეატრისა და კინოს ნამდვილი ვარსკვლავი რამაზ ჩხიკვაძე 95 წლის გახდებოდა. მსახიობის საიუბილეო თარიღი რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა გაიხსენა:

– გენიალური რამაზ ჩხიკვაძის დაბდლეა. რამაზი ის მსახიობი იყო, რომელსაც დაუფიქრებლად უწოდებ კონგენიალურს. ბედნიერი ვარ, რომ მან ჩემს სპექტაკლშიც ითამაშა, ფილმშიც გადაიღო და რომ თავის უმცროს მეგობრადაც მთვლიდა. გასტროლებზე როცა ნატაშა არ მოდიოდა, სასტუმროში ერთ ნომერში ვცხოვრობდით, ერთად დავეხეტებოდით ქუჩებში, ვისხედით კაფეებში და გაუთავებლად ვლაპარაკობდით, უფრო სწორად, ის ლაპარაკობდა და მე ვუსმენდი. ცხოვრებაში არ შემხვედრია მასზე უფრო საინტერესო მოსაუბრე, როდესაც რამე სასაცილო ისტორიას ყვებოდა, იმდენს მაცინებდა, რომ თვალებიდან ცრემლი მდიოდა და ვთხოვდი, გაჩერებულიყო. მერეც, როდესაც აღარ თამაშობდა, ხშირად ვურთიერთობდით, ვურეკავდით ერთმანეთს, მივდიოდი მასთან სახლში. სულ ცდილობდა, ბილიარდის თამაში ესწავლებინა. ეგრეც ვერ მასწავლა. ჩემი და „თავისუფალი თეატრის“ დიდი გულშემატკივარი იყო. რომ არა მისი მხარდაჭერა, „კავკასიურ ცარცის წრეს“ ვერ დავდგამდი: „უნდა დადგა, აბა, რა უნდა ქნა, ბრეხტმა მარტო რობიკოსთვის და ჩემთვის კი არ დაწერა ეგ პიესა“...

დაბადების დღის გადახდა არ უყვარდა, მხოლოდ ვიწრო წრეში აღნიშნავდა და, ბედნიერი ვარ, რომ იმ ვიწრო წრეში მეც მომიაზრებდა ხოლმე. დიდ რამაზ ჩხიკვაძეს გაუმარჯოს! გენიალურ მსახიობსა და გენიალურ პიროვნებას.

## ბექა გოჩიაშვილს გია ყანჩელის პრემია გადასცეს



ჯაზმუსიკოს ბექა გოჩიაშვილს ლეგენდარული ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის სახელობის პრემია გადასცეს. ყოველწლიური პრემიის ლაურეატები არიან ნატო მეტონიძე, პაპუნა შარიქაძე, ლევან დეისაძე, „ჯორჯიან სიქსი“, მიხეილ კილოსანიძე, გიორგი კიკნაძე...

ბექა გოჩიაშვილს გია ყანჩელის სახელობის პრემია – 10 ათასი ლარი გადაეცა:

– გადმომეცა გია ყანჩელის სახელობის პრემია. ძალიან დიდი პატივი და ბედნიერებაა ეს პრიზი ჩემთვის, თან – მნიშვნელოვანიც. გია ყანჩელი გავიცანი 10 წლის ასაკში და მერე, თქვენც იცით, როგორი ერთგული მრევლი ვიყავი და ვარ მისი შემოქმედების. ძალიან დიდი მადლობა პირველ რიგში უკვდავ გია ყანჩელს, დიდი მადლობა „ბადაგონს“, დიდი მადლობა ჩემს ძმას გიორგი ცაგარელს, თეონა ჯორბენაძეს, ნიკოლოზ რაჭველს, ნინო ნახუცრიშვილს, მადლობა სანდრო ყანჩელს მეგობრობისა და მუსიკალური ნდობისთვის. შემდეგი პრიზი, გრემი, ჩემზე იყოს, თქვენს სახელზე.

## გიორგი ანწუხელიძის შვილს „გურული დღიურების“ სტიპენდია დაენიშნება

ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის შვილს, ანა ანწუხელიძეს, „გურული დღიურების“ ფონდის სტიპენდია დაენიშნება.

ინფორმაცია „გურული დღიურების“ ფონდის დამაარსებელმა, მწერალმა და პოეტმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– გმირი ქართველის, გიორგი ანწუხელიძის შვილს, ანა ანწუხელიძეს, „გურული დღიურების“ ფონდის სტიპენდიას დავუნიშნავთ.

## ლაშა ღლონტი უფასო კონცერტს გამართავს



მომღერალი ლაშა ღლონტი 1 მარტს ლანჩხუთის კულტურის ცენტრში უფასო კონცერტს გამართავს.

ლაშასთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მისი ოჯახის წევრები – შვილი ანი ღლონტი და სიძე თორნიკე მაისურაძე. მომღერლები ლანჩხუთელი მსმენელისთვის სპეციალურ პროგრამას შეასრულებენ.

ლანჩხუთის კულტურის ცენტრში დაგეგმილი ღონისძიება გაზაფხულის პირველ დღეს ეძღვნება.

## მარიამ ჯახუტაშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს



ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელს მარიამ ჯახუტაშვილს ბათუმის ხელოვნების ცენტრის ხეივანში სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს.

ქართული საოპერო ხელოვნების გამორჩეული მოღვაწის, „საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის“ წოდების მქონე ვოკალის პედაგოგის, სხვადასხვა კონკურსის გამარჯვებულისა და ლაურეატის, საოპერო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მრავალი ჯილდოსა და პრემიის მფლობელის ვარსკვლავის გახსნამდე კონცერტი გაიმართა, სადაც შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაუკრა ტაში უნიჭიერეს ხელოვანს და გულითადი მადლობა გადაუხადა ქართული საოპერო ხელოვნების სფეროს განვითარებისა და ნიჭიერი თაობების აღზრდისთვის.

## ირაკლი კაკაბაძის ორენოვანი ლექსების კრებული გამოცემულია



მწერლისა და პოეტის ირაკლი კაკაბაძის ლექსები და ესეები ქართულ-ინგლისურენოვან კრებულში გაერთიანდა:

– პირველად და მხოლოდ პირველად გამოვიდა აწ უკვე ისტორიული ორენოვანი ინგლისურ-ქართული ლექსებისა და ესეების კრებული. ეს არის 1990-იანი წლებიდან დაწყებული და ახლანდელი დროით დამთავრებული ლექსები და ესეები, რომლებიც მოიცავს გოგი ძოძუაშვილის მიერ შექმნილი არაჩვეულებრივი მუსიკით გაფორმებულ „პოსტინდუსტრიულ ბიჭებთან“ – ირაკლი ჩარკვიანთან, რობი კუხიანიძესთან, სალომე კორკოტაშვილთან, ქეთათოსთან, სოფო ბათილაშვილთან, გიორგი ცხადაძესთან, ანდრია გველესიანთან კოლაბორაციის შედეგად მიღებულ სხვადასხვა სიმღერის ტექსტებს. აგრეთვე აქ არის სტენფორდის უნივერსიტეტის ლიტერატურულ ჟურნალში შესული ჩემი ესეები და მხატვრული ნაწარმოებები.'„ლექსი ვეფხისა და დისტრიბუტორისა“ კი ამ წიგნში პირველად იბეჭდება. „პოსტინდუსტრიული ბიჭები“ 1999 წელს დაიწერა ქალაქ ფინექსში სამეცნიერო კონფერენციაზე ყოფნისას, მას მერე, რაც მომიწია „ფორტ აპაჩის“ რეზერვაციის ნახვა. ეს უკვე წინა ათასწლეულში იყო. ახლა კი, ათასწლეულების მიჯნაზე და გლობალური კატასტროფის ჩრდილში, მსოფლიო კატაკლიზმების მდელოზე გამოვიდა ეს წიგნი, რომელიც მკითხველს, იმედია, პატარა ნუგეშს მაინც მისცემს ჩვენი ცხოვრების აბსურდულობის ტრაგიკომიკური განცდითა და კათ არსი სით.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



1 მარტისათვის

**ვერძი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **კურო** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ტყუპები** – გარშემომყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. გულისხმიერება, დათმობა, მიტევება დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **ლომი** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **სასწორი** – აფორიაქებული ხართ. საქმიანი პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით. **ღრიანკალი** – პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ხართ. დროა, პარტნიორთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ, ოღონდ ისე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალოთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სფეროში დიდი წინდახედულობა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. **თხის რქა** – თქვენი ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ არის. კრიტიკას მეტისმეტად მტკივნეულად ნუ მიიღებთ. მშვიდად იყავით. **მერწყული** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. მატერიალური მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც გგონიათ, თუმცა ფულს იოლად მაინც ნუ გაფლანგავთ. **თევზები** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 2. წვრილი წვიმა; 3. ფუფუნებით განებივრებული ადამიანი; 4. უღელტეხილი აჭარაში; 5. ფრანგული ვაშლის ღვინო; 9. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 12. ღვთისმეტყველების სპეციალისტი; 15. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 17. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში ძველად; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა გარეული ფრინველი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ძველად სურსათითა და წვრილმანი ნივთებით მოვაჭრე, რომელიც ჯარს ლაშქრობაში მიჰყვებოდა; 13. აეროპორტი მადრიდში; 16. ამერიკელი მოცურავე მამაკაცი, ოცდასამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ქალაქის მაცხოვრებელთა სახელწოდება ძველად გერმანიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

